

ნოჯიხური

ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
მძინარეც ამას ვდუდუნებ

ვაჟა-ფშაველა

ლიტერატურული გაზეთი №30 მირკანი, 2014

რინოს კვარაცხელია — 80



40 დღე შესრულდა, რაც ჩვენს გვერდით აღარ არის ცნობილი პოეტი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, ჭეშმარიტი წალენჯიხელი, ნაღდი კოლხი, თავისი კუთხისა და სრულიად საქართველოს დიდი გულშემატკივარი, გულანთებული მამულიშვილი — ბატონი რინოს კვარაცხელია.

სულ რაღაც ორიოდე თვეში ბრწყინვალე პიროვნების ცხოვრების ჟამთსაბრუნავი ოთხმოც გაზაფხულს მიითვლიდა, ვაგლახ, რომ ვერ მოესწრო...

დღეს 24 მარტია, დიდებული ადამიანის დაბადების დღე! დიდება უფალს, რომ ბატონი რინოსი ამ წუთისოფელს ქართველად მოევლინა!

გაზეთ „ნოჯიხურის“ დღევანდელი ნომერი ეძღვნება რინოს კვარაცხელიას ნათელ ხსოვნას!

ოღონდ საქართველო გადარჩეს!

არაფერს დავეძებ, არაფერს ვინატრებ,
ამქვეყნად სხვა რამეს დანარჩენს, —
ოღონდ საქართველო,
ოღონდ ქართველობა,
ოღონდ ეროვნება გადარჩეს!
მტერი შორს არ არის,
მტერი ახლოსაა...
ვინც გვისპობს მამულს
და ხარხარებს...
ვინც მოდის სიცრუით, სიყალბით,
ვინც ერში შურ-მტრობას აჩაღებს, —
როდემდე ვუთმინოთ,
როდემდე ვემონოთ, —
ქვეყნის დამამხობელ ყაჩაღებს?..
არაფერს მოვითხოვ, არაფერს ვისურვებ
ამქვეყნად სხვა რამეს დანარჩენს, —
ოღონდ მაოხარი,
ოღონდ სისხლისმსმელი
ვერ აცდეს უმკაცრეს განაჩენს!
ხსნა უნდა გაყიდულ აფხაზეთს, —
იქით სამაჩაბლოს სანახებს...
მას, ვინც საქართველო
ასე დააქცია, —
აწ მაინც საჯიჯგნად არ შერჩეს.
არაფერს დავეძებ, არაფერს ვინატრებ
ამქვეყნად სხვა რამეს დანაჩენს, —
ოღონდ საქართველო,
ოღონდ ქართველობა, —
ვაიქართველთაგან გადარჩეს!

რინოს კვარაცხელია

პირნათელი მიუვიდა მარადისობის მკვიდრთ



თითქოს მოსალოდნელი იყო და მაინც მეხთატეხად გაისმა რინოს კვარაცხელიას გარდაცვალების თავზარდამცემი ამბავი მისი უახლოესი ადამიანებისათვის. იგი სწორედ იმ დროს დაგვშორდა, როცა ღვაწლმოსილს დიდი ამაგის სანაცვლოდ საყოველთაო პატივისცემა უნდა მოემკო, როცა თითქმის დარწმუნებული ვიყავით, რომ მისი დაბადების 80 წლისთავს ვიზეიმებდით და დიდი ყურადღებით გარემოსილს სიცოცხლეს გავუხანგრძლივებდით.

ახლა კი სიტყვა უძლურია გულისთქმის გამოსახატავად, მაგრამ უთქმელობაც არ ივარგებს...

მეგობრების სახელით, უწინარესად ის უნდა ვთქვა, რომ უსაზღვროდ გულდაწყვეტილნი ვართ უძვირფასესი ადამიანის ამქვეყნიდან წასვლით. რინოსი იმდენად ჩართული იყო ყველა ახლობლის, ყველა ჩვენგანის ცხოვრებაში თავისი მართალი სიტყვითა და საქმით, ურთიერთობის განსაკუთრებული მადლით, რომ მის არყოფნას ვერ გავიცნობიერებთ და მჯერა, გვერდით ვიგულებთ ჩვენი ცხოვრების დასასრულამდე. იგი შემდგომშიც გაუკვალავს გზას ახალ თაობებს ძლიერი და მართალი საქართველოს ასაშენებლად; მისი ცხოვრება ვაჟკაცური შემართების მაგალითად, ხოლო შემოქმედება სიმართლის პირნათლად სამსახურის ნიმუშად დარჩება შთამომავლობას!

გავიმეორებ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული სამგლოვიარო განცხადების ტექსტის ერთ მონაკვეთს: „რინოს კვარაცხელია იყო პიროვნება, კაცი, რომელიც ამშვენებდა თავის საგვარეულოს, სოფელს, რაიონს, მშობლიურ კუთხესა და ქვეყანას. იგი, როგორც საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, გულში ჩამწვდომი, მაღალმხატვრული ლექსებითა და ნარკვევებით ეხმიანებოდა მამულის ყველა სატკივარს და დაუცხრომლად იღვწოდა მათ დაძლევაში წვლილის შესატანად, რასაც აღწევდა კიდეც!“

ისიც სათქმელია, რომ მისი სიცოცხლე ღვთის საკურთხევლის ამბიონზე დანთებული სანთელივით იწვოდა სამშობლოსათვის, ბიბლიური იობივით გატანჯული, ორი მოწიფული ვაჟკაცის დამკარგავი მამა უფლის სამართალის იმედს მაინც არ ჰკარგავდა. როგორც გავიგეთ, სიკვდილის წინ მეუღლეს სთხოვდა სანთელი აენთო სასთუმალთან. იგი ამ სანთლით ინათებდა გზას ვაჟიშვილებისკენ და სწამდა უთუოდ შეხვდებოდა მათ. ეს შეხვედრა მას თავის შემოქმედებაშიც არაერთი ლექსით აქვს წარმოსახული. ეს რწმენა ასულდგმულებდა მის ცხოვრებასა და პოეზიას... და კიდევ: სამშობლოს უკეთესი მომავლის იმედი იყო მისთვის უმთავრესი. ეს აძლევდა ძალას, ენერგიას. ამიტომაც ეროვნულ მოძრაობაში დიდად თვალსაჩინო და ავტორიტეტული იყო მისი სიტყვა, თავყრილობებზე გამოსვლა, ლექსი თუ პუბლიცისტური ნაშრომი. მამულის შინამტრებთან დაუნდობელი, იგი უსაზღვროდ გულკეთილი იყო სულიერად ახლობელთა მიმართ, თითქმის ყველას ლექსით მიეფერა, თუმცა, შეცდომებსა და გამრუდებულ სიტყვასაც ვერავის აპატიებდა. ცხადია, ყველა მისი მადლიერი ვერ იქნებოდა, მაგრამ ვინც რინოსს იცნობდა, იცის კიდეც, როგორ ზომავდა იგი თითოეულ სიტყვას და თუ მაინც მწარედ ნათქვამი გამოსდიოდა, ეს უსათუოდ ისეთი სიმართლე იყო, რომელსაც გვერდს ვერ აუვლიდა.

გულდაჩაგრული წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ წავიდა გამარჯვებული, რადგან ძლიერ ფესვზე იყო აღმოცენებული: უკეთილშობილესი დედ-მამა ჰყავდა და შემდგომშიც გარშემო შესანიშნავი, ღირსეული ადამიანები ეხვია. მეუღლე, ქალბატონი ლეილა, სიდედრი, ქალბატონი ვერა, ნათელი დაადგეს მის ხსოვნას! ოჯახში გაცნობიერებული ჰქონდათ მისი პოეზიის მადლი და შეძლებისამებრ მხარში ედგნენ, რათა შემოქმედებისთვის დრო ჰქონოდა. ადრეულ გაზაფხულზე შეწყდა მისი ვაჟიშვილების სიცოცხლე, მაგრამ იმთავითვე ჩანდა, რომ მამის კვალზე იზრდებოდნენ... ხოლო ერთადერთი ქალიშვილის და სიძის, ქალბატონ თამარისა და ბატონ ვალერის უსაყვარლესი ოჯახი ყოველთვის მისი უმთავრესი ნუგეში იყო. ძმები, ბატონები ომინი და როინი ცხოვრების გზას უიოლებდნენ... მისი შემოქმედების უმთავრესი წიგნები: „ტკივილის აფრა“ და „წრებრუნვა“ ომინმა და მისმა ვაჟიშვილმა ლადომ გამოუცეს. მისი ვაჟიშვილების მოსახელე შვილიშვილები დათო და ვახტანგი დღეს ბაბუის კვალს მიჰყვებიან პოეზიისა და ხელოვნების გზაზე. უმრწემესმა ვახტანგმა, რომელიც 20 წლის ასაკში უკვე ჩინებული პოეტი და მოაზროვნეა, თვითონ აუწყო ბაბუას ახალი წიგნი, ორიგინალური დიზაინით გაამშვენიერა — ტექნიკური რედაქტორობა გაუწია და ჩამოუტანა თბილისიდან. შვილიშვილმა სალომემ კი პატარა თინათინი მოუვლინა დიდ ბაბუას. ჩვენ, რინოსის ახლობლებმა, თითქმის ყველამ ვიხილეთ ყოველივე ამით დიდად გახარებული რინოსი თავისი ახალი წიგნის განხილვაზე.

ალბათ დამერწმუნებით, რომ ასეთი რამ ვერაგ წუთისოფელში მცხოვრების ადამიანური ბედნიერება და გამარჯვებაა!

შეგვიძლია ვთქვათ, რომ რინოს კვარაცხელია პირნათელი მიუვიდა მარადისობის მკვიდრ წინაპრებს, თავის მშობლებს და უსაყვარლეს ვაჟიშვილებს!

მჯერა, რომ მარადიულ ნათელს დაიმკვიდრებს მისი სპეტაკი სული! სხვათაგან ბევრჯერ ნათქვამსაც გავიმეორებ: მჯერა, რომ იმქვეყნად შევხვდებით! ამ იმედით გემშვიდობები!

თამაზ ფიფია,
მწერალი.

რინოს კვარაცხელია — 80

ჩვენი დიდი მეგობარი



ბატონი რინოს კვარაცხელიას წასვლა ამ ქვეყნიდან უდიდესი დანაკლისია არა მარტო მისი ოჯახისათვის და მშობლიური სოფლისათვის, არამედ წალენჯიხის რაიონისა და სრულიად საქართველოსათვის.

ბატონი რინოსი იყო ბრწყინვალე ჟურნალისტი, უზადო კალმოსანი, ჭეშმარიტად მაღალი დონის პოეტი. ამის გამო, იგი, თავის დროზე არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აიას“-ს ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად, შემდგომში კი ამ აკადემიის საზოგადო მოღვაწეთა განყოფილების გამგედ.

რინოს კვარაცხელიამ და მისმა დიდებულმა ოჯახმა უმძიმესი ტრავმა განიცადა, მზეჭაბუკი ვაჟიშვილების ტრაგიკული დაღუპვის გამო. დაუნდობელმა ზღვის ტალღებმა შეიწირა ეს უნიჭიერესი ახალგაზრდები და ოჯახთან ერთად დიდად დაამწუხრა ამ ტრაგედიამ მთელი რაიონისა და მეზობელი რაიონების ხალხები.

გაუძლო ამ უბედურებას ბედკრულმა მამამ და მთელმა ოჯახმა, მაგრამ ვაი ასეთ გაძლებას. დიდად შეამოკლა ამ ტრაგედიამ ბატონი რინოსის სიცოცხლე.

უბედური მამა მაინც განაგრძობდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ოჯახის გაძღოლას და ყველაფერი გააკეთა უდროოდ დაღუპული შვილების სახელების უკვდავყოფისათვის.

რინოს კვარაცხელია, ქვეყნად მიმდინარე ცნობილი კატაკლიზმების დროს ყოველთვის ავანგარდში იყო. იგი მედგრად დაუდგა გვერდით ეროვნულ მოძრაობას, მის ლიდერებს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას. დიდად განიცადა მათი ტრაგიკული ბედიც. იგი აქტიურად იბრძოდა კანონიერების აღდგენისათვის. იმ პერიოდში, როდესაც ბევრი მისი კოლეგა, პოეტები, მწერლები, შემოქმედებითი ინტელიგენცია დაიბნა და უმოქმედო გახდა, ბევრმა კიდეც უღალატა ეროვნულ ინტერესებს, ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმეს და ვინ იცის, ვინ ვისკენ გადაბარგდა კიდეც, რინოს კვარაცხელიას ერთი წუთითაც არ განუცდია გარდაქმნა, არასოდეს უღალატია აღებული კურსისა და დასახული მიზნისათვის.

იგი თავისი ბასრი კალმით ამხელდა გარეშე თუ შინაურ მტრებს, ძე-შეცთომილებს, მორალურად და ზნეობრივად გადაგვარებულებს, ყველა იმათ, ვინც არაკაცობას, მოღალატეობას ავლენდა.

უბედობამ და ქვეყნად მრავალი წლის მანძილზე გამეფებულმა უღმერთობამ ძალზე შეარყია ბატონი რინოსის ჯანმრთელობა. იგი გრძობდა, რომ მისი სიცოცხლე დასასრულს უახლოვდებოდა და ტანჯული სული ზეცისკენ ილტვოდა. ამიტომაც ნატრობდა, მოსწრებოდა ისეთ დროს, როცა ქართველი ქართველის მტერი აღარ იქნებოდა და ამ ქვეყნად ადამიანები ერთად, ბედნიერად, შეხმატკბილებულად იცხოვრებდნენ. სწორედ ამ ნატვრით დაამთავრა თავისი ბოლო ლექსების კრებული, სახელწოდებით „წრებრუნვა“, რომლის პრეზენტაციაც ბატონ რინოსის გარდაცვალებამდე სულ რაღაც ორი თვის წინ მოაწყო რაიონის საზოგადოებრიობამ.

განვლილი მწარე ცხოვრებისგან გათანგული, ფიზიკურად ჯანგატეხილი პოეტი ჩუმად იჯდა ამ ღონისძიებაზე და გვეგონა, რომ დასასრულს მოკლე სიტყვით დაამთავრებდა თავის გამოსვლას, მაგრამ, როგორც კი ტრიბუნასთან მივიდა, თითქოსდა მთელი ძალა შემოიკრიბაო, ომახიანად დაიწყო საუბარი. საკმაოდ დიდ ხანს გააგრძელა იგი და კვლავაც მომავლის იმედითა და რწმენით აღსავსე სიტყვებით დაამთავრა ეს დიდებული საღამო. იგივე ომახიანობა და ძალისხმევა გამოავლინა საზეიმო ბანკეტზეც და ბოლომდე ასეთ ვითარებაში იყო, იმის იმედი ჩაგვისახა, რომ იგი კვლავაც ჩვეული შემართებით გააგრძელებდა თავის შემოქმედებას.

მაგრამ ჟამმა უმუხთლა. დაეცა ბერმუხა, ოჯახის დიდი იმედი და ჩვენი დიდი მეგობარი — ბატონი რინოს კვარაცხელია.

ძნელია, ძალიან ძნელი მასთან განშორება, მაგრამ აბა სხვა რა გზაა.

იძინე, ტკბილად, სასუფეველში, ბატონო რინოს! შენი სახელი მარად იცოცხლებს ჩვენში, მსუბუქი იყოს ის მიწა, რომელიც გულზე დაგეყრება.

მშვიდობით, ძმაო რინოს!

მამანტი ძაძამია,
საქართველოს მეცნიერებათა
აკადემია „აია“-ს პრეზიდენტი

„ათოვს მთა-ბარს თეთრად ზეცის ათინათი...“

გულის სიღრმიდან ლექსი ამომსკდარი
უხმობს სადიდგორე მეომრებს;
ვისთვის პოეტი ხარ, ვისთვის, — ამორძალი,
ჩემთვის? — ერთიცა და მეორეც...
მამულს შენეული შვენის შემართება,
ვერვინ შეგედაროს სხვა ქალი,
ლექსი მოგამადლა გამჩენმა ნათებად,
ლექსი, — სიყვარულის სარქალი.

ეს სტრიქონები იმ ავადსახსენებელ დროს მომიძღვნა პოეტმა რინოს კვარაცხელიამ, როდესაც საქართველოს დედაქალაქი და მისი ხერხემალი, სამეგრელო, ძმათა სისხლში ცურავდა, მაშინ, იმ ავბედით წლებში, ბატონი რინოსი, თავისი ღირსეულ თანამოქალაქეებთან ერთად, მკერდით გადაეფარა ერთიან საქართველოს, რაც პოეტისა და მამულიშვილის უპირველესი მოვალეობაა. მას შემდეგ არაერთხელ შევხვედრივარ ბატონ რინოსს თბილისსა თუ წალენჯიხაში, არაერთხელ მომისმენია მისი მამაკაცური შემართებით დაწერილი მშვენიერი ლექსები.

2014 წლის 6 თებერვალს შემატყობინეს რინოს კვარაცხელიას გარდაცვალების ამბავი, რამაც სულით ხორცამდე შემძრა... ისიც მითხრეს, რომ პოეტს 8 თებერვალს დაკრძალავენ წალენჯიხის წმინდა მიწაზე...

8 თებერვალი ქართველთა ძლევამოსილი მეფის, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა... 8 თებერვალს დაიბადა დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე ივანე მაჩაბელი... მე, ერთი დევნილი პოეტი ქალი, გავკადნიერდები და ვთხოვ სახელოვანი მეფისა და დიდი ქართველი მწერლის სულებს, გულში ჩაიკრან საქართველოში გამეფებული უსამართლობისა და გულგრილობის კიდევ ერთი მსხვერპლი, პოეტი რინოს კვარაცხელია.

ვწუხვარ, რომ ჩემი შერყეული ჯანმრთელობის გამო ვერ ვესწრები ბატონი რინოსის დაკრძალვას.

მთელი გულით ვუცხადებ თანაგრძნობას კვარაცხელიების მგლოვიარე ოჯახს.

ერთიც უნდა ითქვას, — ბატონი რინოსი, მაღლა, ზეცაში, ალბათ უკვე შეხვდა თავის უდროოდ გარდაცვლილ, უფლისწულებივით მშვენიერ შვილებს და, ვინ იცის, შესაძლოა, მისი სული ახლა უფრო დამშვიდებულია, ვიდრე მაშინ, როდესაც მის ოჯახს შავი ზღვისა და ენგურის ტალღებმა გადაუარა...

ღმერთმა გაანათლოს შესანიშნავი პოეტისა და ჭეშმარიტი ქართველი, კოლხი კაცის, რინოს კვარაცხელიას სული.

დაე, მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის საქართველოს ნასისხლარი მიწა.

თინათინ მღვდლიაშვილი
2014 წელი, 6 თებერვალი

უფლის ცრემლები დედამიწაზე წვიმად მოდიოდა...

ღამაზი და ძლიერი ხარ ზღვაო, მაგრამ ვერაგი, დაუნდობელი, გაუტანელი, მინდორში გაფანტული ყაყაჩოების ყანასავით ლივლივებს შენი ზედაპირი, მაგრამ როგორც ყაყაჩო ადამიანის ხელის შეხებას ვერ ითმენს და კვდება — ისე ხარ შენც, ოღონდ შენ სხვებს ვერ პატიობ შენთან შეთამამებას, დაუნდობელი ხარ და ვერაგი!!! ვინ იცის, რამდენი ადამიანის ცოდვა გადევს მაგ აქოჩრილ ბებერ კისერზე. შენ არ კვდები, მარადიული, ზებუნებრივი და საუკუნოდ უცვლელი ხარ, ჩვენ კი უღონოები ვართ შენს წინაშე, საუბედუროდ.

ზღვამ აჰკიდა დიდი ტვირთი და სასჯელი ჩვენი რაიონის სასახელო შვილს, დიდ ქართველს, დიდ ადამიანს...

იქ, ანაკლიის სანაპიროზე, ენგურის შესართავთან ზღვის ტალღებმა სიცოცხლეს გამოსტაცეს და უსასრულო ღელვაში გააუჩინარეს ორი პირტიტველა ვაჟკაცი, დათო და ვახო კვარაცხელიები და კიდევ ორი, მათი ახლო ნათესავი მამა-შვილი. ოთხი სიცოცხლე მიისაკუთრა იმ დღეს ზღვამ, გაუმაძღარმა, ხარბმა, ვერაგმა...

საზარელი ტრაგედია არამარტო ერთ ოჯახს, მთელ წალენჯიხის რაიონს დაატყდა თავზე. მთელ საქართველოს მისწვდა ამ ენითაუწერელი უბედურების ექო. სიცოცხლით სავსე ოთხი ადამიანის, ერთი ოჯახის წევრების ერთდროული დაღუპვა წარმოუდგენელი განსაცდელი აღმოჩნდა ყველასთვის, ვინც მათ იცნობდა და არ იცნობდა.

მოთქმა-გოდებამ, ტკივილმა, გაუსაძლისმა სევდამ და მასთან ბრძოლამ მოიცვა ერთ დროს ხალისით სავსე ოჯახი. თითქოს აუხდაო თავის ლექსში ნთქვამი სტროფი დათო რინოსის ძე კვარაცხელიას: „მე დამესიზმრა რომ მოვკვდი თითქოს და სამუდამოდ დავხუჭე თვალი“ ან „ცას ახევდა პირბადეს დედის კვნესა საზარი.“

და მაინც, ამ გაუგონარმა უბედურებამაც ვერ გამოლია რინოს კვარაცხელიას სახლში სტუმარი და მეგობარი. ამის მთავარი მიზეზი კი თავად იყო, წელგამართული მასპინძელი, რომელიც მხნედ უღებდა კარს ყველას და მომავლის იმედს და ყოველგვარ უკეთურებასთან ბრძოლის სურვილს უღვივებდა გარშემომყოფებს.

უფლის ცრემლები დედამიწაზე წვიმად მოდის და თქვენი შვილების საფლავზეც წვიმად იღვრება, ბატონო რინოს!

ახლა თქვენც მათ გვერდით დაივანებთ.

იქ გელოდებიან და გულში ჩაგიკრავენ მამას მონატრებული თქვენი საამაყო ვაჟკაცები. თქვენ საოცრად მიიჩქაროდით შვილებთან და ღრმად დამწუხრებულმა მგლოვიარე დედამ არ შეგაყოვნათ. ქალბატონმა ლეილამ არჩია მათთან წასულიყავით, გაგიმეტათ, რადგან თქვენი შემყურე ძალიან იტანჯებოდა.

გწამდეთ და გჯეროდეთ, ჩვენო სახელოვანო ადამიანო, თქვენს ნათელ ხსოვნას ყოველთვის მივაგებთ საკადრის პატივს, თქვენი ღვაწლი და შემოქმედება, თქვენი სამშობლოსადმი სიყვარული და თავდადება, თქვენი ამაგი თითოეული ადამიანისადმი ნათლად დაადგება თქვენს სახელს და ჩვენც გზას გაგვინათებს...

მსუბუქი იყოს თქვენს მკერდზე ის მშობლიური მიწა, რომელიც მიგიბარებთ. თქვენს საფლავზე დანთებული სანთლები გინათებდეთ სასუფეველს თქვენს მონატრებულ ვაჟკაცებთან ერთად...

„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“-ს წალენჯიხის რაიონული ორგანიზაცია

...ლექსით ებრძოდით ქვეყნად გამეფებულ უსამართლობას

დიდი გულისტკივილით ვუერთდებით ბატონი რინოს კვარაცხელიას ოჯახის, მისი ნათესავების, ახლობლების, მეგობრების, მისი თაყვანისცემელთა და მკითხველთა უსაზღვრო მწუხარებას.

გული მწყდება, რომ ბატონი რინოსი, ეს უკეთილშობილესი პიროვნება და სამშობლოს სიყვარულით გულანთებული პოეტი, თითქმის სიცოცხლის მიწურულს გავიცანი წალენჯიხაში შოთას ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე. ის სითბო და სიყვარული, რაც მაშინ ვიგრძენით წალენჯიხის საზოგადოებისაგან დღემდე არ გვავიწყდება ჩემს ოჯახს და სტუმრად მიწვეულ შოთას მეგობრებს. სხვანაირად ვერც წარმოგვედგინა, შოთასაც ხომ განსაკუთრებულად უყვარდა თქვენი კუთხე და ხალხი, შოთაც ხომ გულწრფელი მოზიარე იყო თქვენი ბედისა თუ უბედობისა.

ბატონო რინოს, მე არც თქვენი სევდიანი სახე მავიწყდება, თქვენი შვილების დათოსა და ვახოს ტრაგიკულად დაღუპვას რომ მიამბობდით. გიცქერდით და მიკვირდა თქვენი სულის გაუტეხლობა. აკი ამბობდით კიდეც: წინ წყალია და უკან მეწყერი, სიცოცხლის ჟინი მაინც არ ცხრებაო. თქვენი სიცოცხლის ჟინი ახლა თქვენი შვილიშვილებია, თქვენი სალომე, დათო და ვახო. გიხარიათ რომ თქვენს ჭიშკართან კვლავ ისმის ძახილი „დათოო! ვახოო!“ სიცოცხლის ჟინმა არ გაგაშვებინათ ხელიდან კალამი და ლექსით ებრძოდით ქვეყნად გამეფებულ უსამართლობას.

უამრავი ჭირისუფალი გყავთ ბატონო რინოს, მაგრამ ყველაზე დიდი ჭირისუფალი თქვენი ლექსებია, რომლებშიც „სულს ტოვებთ, როგორც ნაზ და მორცხვ კვირტს.“ თქვენ უამრავი ბრწყინვალე ლექსი დატოვეთ სამშობლოსადმი მიძღვნილი და „თქვენი ტანჯვის მთხრობელი.“

მიუხედავად ცხოვრებისაგან მიყენებული უმძიმესი ტკივილისა, მაინც ბედნიერი ბრძანდებით ბატონო რინოს, რადგან თქვენი შვილები და შვილიშვილები მარად იამაყებენ ბაბუით, თქვენი პოეზიით და იმით, რომ

„უწმინდესი სამშობლოს
მზიან სადროშეს
თქვენი სინდისის და კაცობის
შეჰმატეთ დროშა.“

ღმერთმა დაგიმკვიდროთ სასუფეველი, ბატონო რინოს.

თამარ ჩიჯავაძე-ნიშნიანიძე.
6.02.2014 წ.

რინოს კვარაცხელიას გაჭრილ სამარესთან წარმოთქმული სიტყვა

„საქორთუო ვეცუაფუ, სამარგალო დოღურუნი.“ პოეტი, პატრიოტი, მეომარი.

დღეიდან, შენ! იმათ რიცხვში ხარ, ვინც მუხლი არ მოუდრიკა რეჟიმს!

ტერენტი, „დაშვებული შეცდომები ბევრია, ეხლა უფრო დაფიქრების დროა.“ პროლეტარ-მანანწალების ურდოებს ებრძოდა თბილისში, მეორე ფრონტის გამხსნელ ოსმალო-თურქებს ბათუმში.

მიხა ხელაშვილი, „ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება, რა არის ჩვენი სიცოცხლე ჩიტივით გაგვიფრინდება.“ შეფიცული, დაბადების დღეს მოწამლეს, მერე კი 25 ტყვია დაახალეს 25 წლის გენიას.

კოკი დადიანი, ემიგრაციის სამარიდან
„ძვლებიც კი ფიქრობს,
საქართველოზე.“

მიხეილ ჯავახიშვილი, კვაჭის მახეში, ჯაყოების წითელი ეშვებით ჩაფლეთილი.

ლევან გოთუა, გულაგის ვარამის ვარამიდან.

გურამ რჩეულიშვილი, იკორთას მკერდშებოლილი მერცხლიდან.

ინდიკო ქობალია, 50-იანის გულაგიდან „ო, კობრა, ძმაო! წითლებს არ უკბინო, მოიწამლები ამათი შხამით.“

აპოლონ ადონია, არა მარტო ფიზიკურად მიჯღარკ-მოჯღარკულებს, აკირცხა კირცხი კირცხული.

და ბოლოს ის ორი:

ზვიადი, შეუპოვარი და განუხრელი.

მერაბი, მტკიცე და შეურყეველი.

სულის უსწრაფეს გზაზე, მიხედე, რაშდაკარგულ ბიჭებს, უდროობის უსივრცობაში.

ახლა კი თავს დაგიკრავ,

„საქორთუო ვეცუაფუ, სამარგალო დოღურუნი.“

რევაზ მორგოშია
8.02.14 წ. ნაკიფუ

რინოს კვარაცხელია — 80

ბიჭები მყავდა თავმოსაწონი

დათო და ვახტანგ კვარაცხელიები

საქართველოს დარდით გულგასენილი ჭირისუფლის გოდება და ჭეშმარიტი მამულიშვილის პოზიციაა გაცხადებული პოეტ რინოს კვარაცხელიას ლექსების ყველა სტრიქონში. მისი ლექსები მკითხველს ყოველთვის დააფიქრებს მამულის მწარე ხვედრზე...

ბატონ რინოსს საწუთრომ უმძიმესი გამოცდა მოუწყო: ორი ვაჟიშვილი, ერთი უკვე ინსტიტუტში ახლადჩარიცხული, 17 წლის დათო და მეორე, სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლე, ვახტანგი, ორ უახლოეს ნათესავთან ერთად, ზღვაში დაიხრჩო ანაკლიის მისადგომებთან...

ამ უღვთო ტრაგედიისგან გამოწვეული უდიდესი სევდითაა გაჟღენთილი პოეტის ლექსები, რომელიც მან შვილების ხსოვნას მიუძღვნა. უწინარესად პოეტს ლექსებში გამოხატულმა ტკივილმა უსაშველა და დაეხმარა გამკლავებოდა მწუხარებას...

ჩვენ შევეცადეთ, შვილების ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსები ერთად მიგვეწოდებინა მკითხველისათვის ჩვენი გაზეთის ამ ნომერში, ლექსები, რომლებიც პოეტმა სხვადასხვა წლებში დაწერა და მოუშუშებელი ტკივილი პოეზიად აქცია...

არვინ ეძახის

ჭიშკართან არვინ იძახის დათოს,
ჭიშკართან არვინ ეძახის ვახოს,
მზე ჩაესვენა და აღარ მათბობს —
თითქოს უდაბურ კუნძულზე ვსახლობ.
მათი სიცოცხლით ლამაზ ლექსს ვწერდი —
ვაი, რომ მექცა უბედურებად;
სული გაფრინდა, ვით თეთრი მტრედი,
რომელიც უკან არ დაბრუნდება...
და მე მგონია, სულში ჩამცქერის
ორი ვარსკვლავი ცაზე მიმქრალი,
ჩემში შემოდის, როგორც ნამქერი —
მათი სიმღერა და საფიქრალი...
სულში შემოდის სიმგაწყვეტილი
და დასეტყვილი დილის სიმღერა,
ცას შერჩენილი მრავალ წერტილად —
მათი სათქმელიც წვიმად იღვრება...
და მე გამხმარი — ხე ნამეხარი
ვერ ვაშრიალებ იმედის ფოთლებს
და ორი კვიცი გაუხედნავი —
დაუწერელი ლექსივით მომდევს.

* * *

გმადლობ სიზმარო, ხანდახან
რომ მანახებ ბიჭებს,
სხვაგვარი ხილვა განგებისგან
უკვე წამერთო.
თუ შესახვედრად საღამოდან
თადარიგს ვიჭერ,
ასე მგონია — მათთან მეტი
დღე მაქვს საერთო...
დავხუჭავ თვალებს —
მეახლება ტანაშოლტილი,
სიზმრადქცეულთა სილამაზე და ახოვნება,
დასრულდა ჩემი სიხარულის
ძველი მოტივი,
მხოლოდ სიზმარში გაგრძელდება
ჩვენი ცხოვრება...
ჩემი სიცოცხლის გაზაფხული
სიზმრებში ლაღობს
და ერთადერთი სიზმარია ჩემი ნუგეში;
დამეზმანება, მიხარია და
ისევ ვნაღვლობ —
გამეღვიძება და სიცხადე
მტანჯავს უხეში...
ჩემი ცხოვრებაც და სიზმარიც
არის ზღვისფერი
და ვიჯახირებ, ვიდრე
სიზმრად გადავიქცევი.

სულის ფორიაქი
(ჩემს დათოს მიერ მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილი ლექსების გამო)

შუქად გამოკრთები, თითქოს უკუნიდან —
ბიჭო, ეს ლექსი, თუ სულის ბუბუნია...
ლექსი გიხმობდა და
ლექსი გათრთოლებდა,
ლექსად გიტოკავდა გულის სათნოება...
თეთრი ანგელოზის ფრთებით
დაფრინავდი —
მიწის ზმანება და ზეცის ათინათი...
შენი მოცახცახე სული ფორიაქა —
შვება გვეგონა და ცრემლად მოკიაფდა...
შენგან ნუგეშივით ესღა შეგვრჩენია,
ბიჭოს! დადუმებაც რაფერ შეგძლებია.
აჟღერდა შენი ხმა ზაფრად,
თუ სულისდგმად,
კითხვადაც — ტანტალა, როგორ სდუმს
შენი ძმა?!
იმედის წარღვნაა თქვენი დადუმება —
საჩემო საფლავზე ცრემლად დაგუბება.

უთქვენოდ

სიამისგან რა შორს გავირიყე,
ადრე თუ ხელებს მზისკენ ვიწვდიდი,
უთქვენოდ ზამთარი დამიბრიყვებს,
უთქვენოდ გამათავებს სიკვდილი...

მწუხრის ტრიოლეტი

მწუხრისას ჩუმად იღვენთება
წყვილი სანთელი,
ანგელოზების თვალში ცრემლი
თეთრად ციმციმებს,
მოთქვამს სიკეთე, ბოროტება
როცა იცინის,
მწუხრისას ჩუმად იღვენთება
წყვილი სანთელი.
ამ წუთისოფლის გამოცანა მე ვერ ავხსენი
და მკვდარი გულიც ვეღარ უძლებს
ლოდის სიმძიმეს
მწუხრისას ჩუმად იღვენთება
წყვილი სანთელი,
ანგელოზების თვალში ცრემლი
თეთრად ციმციმებს.

ერთი განავარდება
(ჩემს დათოსადმი)

შენი ერთი სტრიქონიც
ჩემთვის ოქროს ზოდია,
ო, საშენო დღეები —
ჩემთან მწუხრად მოდიან...
ცისოდენა სურვილი
დღეს სიმწარედ მსუსხავი,
როგორც ოქროცურვილი —
ბრწყინავს შენი კურცხალი...
სადღაც ცაში დაფრინავ
ანგელოზი იდუმალ,
მიამიტი, მიმდობი,
მაგრამ მაინც დიდგულა.
შინ დატოვე ზამთარი,
თოვლის თოვა დარდებად,
ერთი წამი, ერთი ზღვა —
ერთი განავარდება...

მეამაყება

ნეტარებისგან უღვთოდ დაცლილი,
მე თუ ვიცინი — ჩემს ბედს დავცინი.
ერთ გოჯს მიწაზე ცრემლად დაღვრილი,
თუ ვტირი, ისევ ჩემს ბედს დავსტირი.
ჩემს უბედობას ვერვინ აწონის —
ბიჭები მყავდა თავმოსაწონი.
შეუბღალავი ცისკრის ღიმილი,
ჩემი კაცობის ოქროს გვირგვინი.
ულამაზესი სულით, იერით —
ჩაქრა მზე მათი თვალასწიერის...
ვაი, რომ ხსოვნა ტანჯვად დამყვება —
მტანჯავს და მაინც მეამაყება.

მე — მათში...

მათში დაბუდებული ჩემი სული გაფრინდა,
მათში აფეთქებული ჩემი გული გაცივდა,
მათში აელვებული ჩემი თვალი დაბნელდა,
მათში აჩქეფებული ჩემი სისხლი გაიყინა,
მათში აჩქამებული ჩემი
ცეცხლი დაიშრიტა,
მათში ამაღლებული
ჩემი ლექსი გაიკმინდა,
მე აღვესრულე — მეც მოვკვდი მათში.

* * *

დაიარება ვიდრე ჩემი ბობღია ლანდი,
გაიძურწება ვიდრე სული თიხის დოქიდან,
მოგონებათა მსურს ავაგო
ცისფერი სახლი,
დღე ხვალინდელი, სადაც
მზისფერ ყვავილს მოიტანს...
მინდა მკვიდრობდეს ჩემში
მარად დრო გარდასული,
იმედიანი გაზაფხული
წარსულში დამრჩა —
წყვილი ბოკვერი, თავმომწონე ამაყი სული
წუთისოფელმა რომ შექმნა და
თვითონვე დასცა.
შუქმოსილ დღიდან შემრჩა მხოლოდ
მცირე ნაფლეთი,
სული მეხუთვის, ამ სიბნელეს
ვერ ვეგუები,
ვერ მოვესწარი გათენებას ღამენათევი,
სიზმრიდან მოველ და სიზმარში
უკან ვბრუნდები...
დაიარება, ვიდრე ჩემი ბობღია ლანდი —
ამქვეყნიური არ მეშვება
ჭმუნვა და დარდი...

სიზმარო...

დღეს ვაღამებ ვაი-ვიშით,
დღეო, გაუცინარო,
სული მიმდის მოლოდინში —
ღამეულო ხილვაო...
გული ჯანღმა გადაბურა —
აღტაცებას ნაჩვევი
გიხმობს, ექცე ო, სალბუნად
შენს იმედად დარჩენილს...
მათში ზეცის სული დუღდა
დაბლა ჩამოხიზნული,
დამანახე მზეჭაბუკთა
გამოხედვა ღვთიური...
მიხარია დაღამება
და სულ მინდა იჩქარო —
რადგან სული დაამებას
შენგან ელის სიზმარო...

* * *

ბედისგან ჯვარზე მიჭედილს,
ვით შხამიანი ეკლები —
მგესლავენ ჩემი ბიჭების
დაუწერელი ლექსები.

ჟამი ხსოვნისა

ამ ხრიოკზე ოდითგან ვცხოვრობ
ოდენ ხსოვნისთვის,
მოღუშული დღეები
ფოთლებივით მოვისხი...
ხსოვნამ უნდა მაცოცხლოს,
ვიდრე ხსოვნად ვიქცევი,
არ მასვენებს სიზმარი —
ზღვისფერი და ცისფერი...
ცას მოჯარდა ღრუბელი,
წუხელ ისევ გაწვიმდა,
იღვრებოდა ცემლებად
სულიც ნაწილ-ნაწილად...
ეხვეოდა უკუნი დიდრონ ალვას დამეხილს,
გულს არ შერჩა ნუგეში და იმედის ნატეხი.
ხსოვნას იმათ სახელთა
გოლგოთაზე ავიტან,
ვინც უწმინდეს სიყვარულს
შესწირვია ტარიგად...
წუთისოფლის ორღობეს
მაინც რწმენით ჩავივლი,
მიმწუხრამდე გამყვება
ყვავ-ყორნების ჩხავილი.
ამ მიწაზე ოდითგან ვრჩები
მხოლოდ ხსოვნისთვის,
საცა ფეხი დავადგი,
ყველგან ოხვრა მოისმის...
მოლოდინში სიამის, თუკი ტანჯვა ვიწნიე,
ვიცი, მიწა მოუვლის მისთვის
ტანჯულ მიწიერს.

დელგმა

გაწვიმდა წუხელ, დამეუფლა
სხვაგვარი განცდა,
ო... თითქოს ზეცა ჩამოეშვა
უსაზღვრო სევდად,
რომ გაზაფხულის მხიარული
წვიმების ნაცვლად,
ჩემს ეზო-კარში მობუზღუნე
მოვიდა დელგა...

სამოთხე

ვით გადმომსკდარი ჩანჩქერი კლდეებს —
გულიდან ბოღმაც ისე გადმოხეთქს,
გაუგონარი წამების შემდეგ —
მეც მეღირსება ჩემი სამოთხე...
და ნეტარების ჟამი დამათრობს,
ჟამი სიხარულს მეც მომანიჭებს —
გადავეხვევი, როგორც არასდროს
ჩემს მოლოდინში დაღალულ ბიჭებს...
საჩემო მიწაც ამ სოფლის მიღმა
მკივან გულივით ოხრავს და კვნესის
და უცაბედად გაწყვეტილ სიზმარს
აგრძელებს ცემლით ნაწერი ლექსი...
ცისკრის სიმღერა მაღალ ცას შერჩა
გადამფრენ წეროს კივილის მსგავსად,
გულს უმოწყალოდ დაჭრილს და ბეჩავს
არ ედგომება სიმშვიდით არსად...
ამ ცას და მიწას ამაოდ ვენდე,
სულსაც ამაო ფიქრი აშფოთებს,
გაუგონარი წამების შემდეგ —
თუ ეღირსება მკვიდრი სამოთხე.

ჩემს დათოს წიგნზე წასაწერი

შენი სილაღით და სიალალით
და სათნო გულით ნაალერსები,
ნუ მიწყენ, შვილო, თუ გამოვლალე, —
გადამალული შენი ლექსები...
ო, რამდენ სითბოს და ნაღველს იტევს, —
სულთქმა შავ ყდაში შუქად ასხმული,
მიკვირს უფალმა რად გაგიმეტა, —
რად დაგხვდა ბედის კარი დახშული...
სათქმელი ისევ ცრემლად გუბდება,
ვით შესძელ ნორჩმა ასე ტრფიალი,
ამ წიგნში გოდებს დაუსრულებლად, —
შენი სამღერიც და სატირალიც...
თითქოსდა ახალ ჰანგებს აჟღერებ,
თავდავიწყების ტბაში ეშვები;
ნუ მიწყენ მამას, რომ გავამჟღავნე, —
გადამალული შენი ლექსები.

* * *

მზე რომ მზეა, თვალს მარიდებს,
რაკი ჩემთან თქორია,
ჟამი რაღას დაამშვიდებს —
ჩემი სულის ფორიაქს.
ხეზე ჩიტი ტკბილად გალობს,
მე კი მოთქმა მგონია.
ნამქერ-ყინულს რა გაადნობს —
ჩემ გულს რომ ჩასწოლია.
ეგ საწუთრო გაავებით
რად აკვნესებს როიალს,
აწვიმს, ათოვს გამუდმებით —
ჩემი სულის ფორიაქს,
ჟამი როგორ გასხვაფერდა,
ნიავს დაუქროლია,
ქვეყნიური არის სევდა —
ჩემი მელანქოლია.

რინოს კვარაცხელია — 80

ბედთან შეურიგებლობა, დროსთან ჭიდილი, ბრძოლა

ლიცეუმ „ქიაჩის“ დირექტორი ვარო კვარაცხელია პოეტს გადასცემს ღვთისმშობლის ხატს

ქამმა ჩამოჰკრა ერთხელ კიდევ მწუხრის ზარს, ზარს მარტვილობისას, ავბედობასთან ბრძოლისას და სულის სიმძიმილით ძალუმად შეარხია გულთა სიმები. ერთგან წერდა: „ბედმა უმძიმესი სატანჯველი მომკერძა — სიკვდილამდე ვატარო განმგმირავი ხსოვნა შვილების — დათო და ვახტანგ კვარაცხელიების და ახლო ნათესავების მამა-შვილი — ფელიქს და ლევან შენგელიებისა, რომელთა სიცოცხლე ერთდროულად შეიწირა ზღვამ“ და რინოს კვარაცხელიამ ბედისწერასთან შერკინება პოეზიად აქცია, შეუპოვრობის ბრძოლის ჟინის მტკიცე ბასტიონად. „სევდის მწვერვალმა“, „ტკივილის აფრამ“, „წრებრუნვამ“ ავტორს საყოველთაო აღიარება მოუპოვეს.

თავიდანვე გამოკვეთილად განისაზღვრა რინოს კვარაცხელიას პოეტური დვრიტა. უპირველესად ეს გაცხადდა სამშობლო ქვეყნის წმინდა სამსახურით. რინოს კვარაცხელიას წუთითაც არ ჩაუმუხლავს, წუთითაც არ გაუხედია განზე. ის მხოლოდ და მხოლოს იმისთვის იბრძოდა, რომ სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში აჟღერებულ დაფ-ნაღარასათვის გულის მგზნებარებით ძალა და ხმიანება შეემატა და კიდევაც მისი ტრაგედია ორგანულად შეერწყა, შეესისხლხორცა საშინელ უბედურებას, რაც მაშინ დატრიალდა საქართველოში ქართველი ერის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე. უწმინდესი ერთგულებითა და თავდადებით კიდევაც ააშკარავებდა სამშობლოს მტრებს — მოღალატეებს, ორგულებს, გამყიდველებს, ფარისევლებს, მოძალადეებს, ძმათა მკვლელი ომის გამჩაღებლებს, მის მშობლიურ წალენჯიხაში რომ დაიწყო და შემდეგ მთელ სამეგრელოსა და საქართველოში გადაიზარდა. მისი პოეზია მოწოდებული იყო, რომ სამშობლო ქვეყნის ბედნიერებისათვის ბრძოლა ვერანაირმა წინააღმდეგობამ ვერ უნდა შეაჩეროს. ამისთვის ერთსულოვნება, მტკიცედ გაერთიანება, ერთად დგომაა საჭირო. ის თვალნათლივ მიანიშნებდა უმთავრეს საკითხებს: ქვეყნის აღმშენებლობას, განვითარებას, სამართლიანობის აღდგენასა და დამკვიდრებას.

რინოს კვარაცხელია, როგორც შემოქმედი და როგორც პატრიოტი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მშობლიური კუთხის საკეთილდღეო საქმეებში, მასშტაბურ კულტურულ ღონისძიებებში. განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო მისი საქმიანობა წალენჯიხაში გამართულ ტერენტი გრანელის იუბილეზე, სახალხო დღესასწაულ „გრანელობაზე“, ასევე შოთა ნიშნიანიძის იუბილის დღეებში.

რინოს კვარაცხელიამ პოეზიის მოყვარულები, თავისი ნიჭის დამფასებლები ახალი ლექსების წიგნით — „წრებრუნვა“ გაახარა, რომელიც, სამწუხაროდ, უკანასკნელი და მისი ფართო შემოქმედების შემაჯამებელი წიგნი გამოდგა. მადლიერმა საზოგადოებამ მოაწყო „წრებრუნვის“ პრეზენტაცია, სადაც გულწრფელი სიტყვა ითქვა პოეტ რინოს კვარაცხელიას შემოქმედებაზე, წმინდა პოეზიაზე. ღირსეულად მაღალი შეფასება მიეცა პოეტის შემოქმედებას, მის უანგარო, კეთილშობილურ ღვაწლსა და ამაგს მშობლიური, ქართული კულტურის საკეთილდღეოდ. პოეტის სამადლობელი სიტყვა მისი გედის სიმღერა გამოდგა, რაღაც დღეები დააკლდა. უკვე დაწყებული იყო მზადება პოეტის დაბადებიდან 80 წლის იუბილეს საზეიმოდ აღნიშვნისათვის. ვაგლახ ვეღარ დასცალდა.

დიდად ვწუხვართ ნიჭიერი შემოქმედის, დიდებული საამაყო თანამემამულის, ღირსეული მამულიშვილის, პოეტ რინოს კვარაცხელიას გარდაცვალებით.

მის სახელს დავიწყება არ უწერია.

ნათელში ამყოფოს უფალმა რინოს კვარაცხელიას წმინდა სული.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

შთამომავლობა

პოეტის ქალიშვილი — თამარ კვარაცხელია

პოეტის შვილიშვილი — სალომე ჭანტურია

პოეტის შვილიშვილი — ვახტანგ ჭანტურია და შვილთაშვილი თინათინ წურწუმია

კვარაცხელიების საგვარეულო კავშირი ღრმა მწუხარებით აუწყებს გვარიშვილებს, მკითხველებს და ფართო საზოგადოებას, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 80 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი და სასიქადულო მამულიშვილი

რინოს თეოფანეს ძე კვარაცხელია

და გულითადად თანაუგრძნობს მეუღლე ლეილას და ქალიშვილს თამარს მისი გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი 6,7, II დაკრძალვა 8 II, წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფუში.

რინოს კვარაცხელია იყო პიროვნება, კაცი, რომელიც ამშვენებდა თავის საგვარეულოს, სოფელს, რაიონს, მშობლიურ კუთხეს და ქვეყანას. იგი, როგორც საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, გულში ჩამწვდომი, მაღალმხატვრული ლექსებითა და ნარკვევებით ეხმიანებოდა მამულის ყველა სატკივარს და დაუცხრომლად იღვწოდა მათ დაძლევაში წვლილის შეტანად, რასაც აღწევდა კიდეც!

აღესრულა, როგორც ვამლოხდილი, პირნათელი მოღვაწე თავისი ერისა.

„საქართველოს რესპუბლიკა“,
№24. 5. 02. 2014 წ.

რინოს კვარაცხელია

შაბათს წალენჯიხის მიწა შესანიშნავი პოეტის და შესანიშნავი ადამიანის რინოს კვარაცხელიას ნეშტს მიიბარებს.

მარტში 80 წლისა უნდა გამხდარიყო, მაგრამ არ დასცალდა...

იშვიათად შემხვედრია რინოს კვარაცხელიასნაირი კეთილშობილი, სინათლით და სიკეთით სავსე პიროვნება.

ნამდვილი ინტელიგენტი იყო, ნამდვილი კოლხი, როგორც სამეგრელოში იტყვიან, წირილი კოჩი.

შემაძრწუნებელი ტრაგედია დაატყდა თავს — ორი ვაჟკაცი ერთ დღეს წაართვა ულმობელმა ზღვამ — ერთმანეთის გადარჩენის მცდელობაში ორი ძმა აბობოქრებულ ზღვასთან ბრძოლაში დამარცხდა...

დიდი კაცი იყო რინოსი — მიუხედავად ამ უდიდესი ტკივილისა და მწუხარებისა, ის მაინც არ გატეხილა, არ გაბოროტებულა, მოყვასისათვის ტკბილი სიტყვა, თანადგომა და სიყვარული არასოდეს დაუშურებია.

ბოლო წლებში იშვიათად ვხედავდი, მაგრამ მე ის სულ მახსოვდა, სულ მიყვარდა, სულ მედარდებოდა...

ვიცი, რომ ასეთივე გრძნობა ჰქონდა რინოსს ჩემს მიმართაც, თუმცა ამის შესახებ ერთმანეთისთვის არაფერი გვითქვამს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს რინოს კვარაცხელიას სული.

ვახტანგ ხარჩილავა
„საერთო გაზეთი“, №3,
5. 02. 2014 წ.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, პოეტი და ჟურნალისტი, ღირსეული მამულიშვილი

რინოს კვარაცხელია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

„საქართველოს რესპუბლიკა“,
№26, 7. 02. 2014 წ.

რინოს კვარაცხელია — 80



დიდი მამულიშვილის, ცნობილი პოეტის, ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის — რინოს კვარაცხელიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით, გამოხმაურებანი „ფეისბუქზე:“

* * *

ძალიან მიყვარხარ და მეამაყები ჩემო შეუდრეკელო და მებრძოლო ბაბუა, ჩვენ სიკვდილი ვერ დაგვაშორებს, ჩვენს ბაბუაშვილიშვილურ, მამა-შვილურ, მეგობრულ, ძმაკაცურ, ადამიანურ სიყვარულს ვერაფერი შეცვლის. შენ სულ ჩემს გვერდზე, ჩემს მხარდამხარ, ჩემს დამცველად იქნები ყველგან და ყოველთვის...

ვახტანგ ჭანტურია

* * *

პირველ რიგში იყო უკეთილშობილესი ადამიანი, კეთილი და თავმდაბალი, ჩინებული პოეტი, ქვეყნისა და კუთხის უბადლო პატრიოტი, კაცთმოყვარე და მეგობრული. მიუხედავად უდიდესი ოჯახური ტრაგედიისა მან საზოგადოებას უჩვენა წარმოუდგენელი ადამიანური გამძლეობა. სამაგალითო კაცი იყო სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. დაუვიწყარია მისი გამოსვლა ერთი თვის უკან ბოლო წიგნის პრეზენტაციაზე.

დედამიწაზე მილიონობით ადამიანი კვდება, ჟამთა სვლა მათ ივიწყებს, მაგრამ არიან ადამიანები, რომელთა სახელები დაუვიწყარია, სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება ჩვენი კუთხის სახელოვანი ადამიანი, პოეტი ბატონი რინოს კვარაცხელია. მართლაც რომ ტკივილს ტოვებს მისი გარდაცვალება.

საზოგადოება „წალენჯიხელის“
სახელით — ზაურ გვასალია

* * *

რამდენჯერ შევხვედრივარ ამ კეთილ და უნიჭიერეს ადამიანს, მისი სახით დიდი კაცი დააკლდა ჩვენს კუთხეს და სრულიად საქართველოს, ძალიან ვწუხვარ... მის სახელზე ვანთებ სანთელს და უფალს შევთხოვ სიმშვიდე მისცეს რინოს კვარაცხელიას სასუფეველში.

ლაშა მესხია

* * *

უფალმა ნათელი დაუმკვიდროს, რინოს კვარაცხელია დააკლდება არა მხოლოდ წალენჯიხას, არამედ მთელს შემოქმედებით სამყაროს... უზომოდ ვწუხვარ და ვიზიარებ როგორც ოჯახის, ასევე სრულიად საქართველოს გულისტკივილს.

ეკა ზარანდია

* * *

სულის სიღრმეში თითქოს კვლავ საკუთარ მამას ვეთხოვებით, სიტყვით უთქმელი მწუხარება გამოიწვია ჩემში. ღრმა და უკვდავია პოეტის შემოქმედება, მჯერა, პოეტ რინოს კვარაცხელიას ლექსები კიდევ გაზრდის მომავალ თაობებს.

დავით ბობოხია

* * *

სამწუხაროდ „ფეისბუქის“ საშუალებით გვიან გავიგე რინოს კვარაცხელიას გარდაცვალების შესახებ. ვწუხვარ და ვუსამძიმრებ ოჯახს, ნათესავებს და ყველას, ვინც მისი მეგობარი, მკითხველი და უბრალოდ გულშემატკივარი იყო. იგი გახლდათ ღირსეული პიროვნება და დიდებული პოეტი, ღმერმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი.

ელგუჯა მარღია

* * *

თავზარი დამცა ცნობამ ბატონი რინოსის გარდაცვალების შესახებ. საქართველოს მოუკვდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პატრიარქი, კაცი, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტხანს იბრძოდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, უდიდესმა პირადმა ტრაგედიამაც ვერ შეაჩერა იგი ამ რაინდულ გზაზე მიმავალი, ამავე დროს იგი ბრწყინვალე პოეტი გახლდათ, რომლის ჯადოსნური რითმები საოცრად მუხტავდა ყველა პატრიოტს. სამეგრელოს ისტორიას ბატონ რინოსზე დიდი კაცი არ ჰყოლია, კოლხი კაცის განსახიერება, ბუმბერაზი ქართველი. ოხ, როგორ ესადაგება დიდი გალაკტიონის სიტყვები დღევანდელობას:

„მიდიხარ, შენს ბედს ბევრი ინატრებს,
მშვენიერს ბედი სხვა არსად არი,
შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს,
შენ უკვდავების ხარ ბინადარი.“

გიული ცანავა

* * *

საოცარი ტკივილი ვიგრძენი... ეს განცდა თქვენმა გარდაცვალებამ გამოიწვია ჩემში ბატონო რინოს. „კოჩანა რე ღურა დღაშა ასქილადირი კოჩანა“ — წერდით თქვენ და სწორედ ამ კაცობის მატარებელი აღმოჩნდით სიცოცხლის ბოლომდე. „... ცხოვრება შენი მაღალ მთასა ჰგავს, შენ კი ამ მთაზე აღმავალ ალპინისტს, შენ უნდა ახვიდე ამ მთაზე შენით, ოფლში მცურავი, განვლილი მანძილი კი არც ისე ცოტაა... ეს სიტყვები 17 წლის დათო კვარაცხელიას ეკუთვნის...

ბატონო რინოს! თქვენ ახვედით მთის მწვერვალზე, პოეზიის მწვერვალზე და იქიდან წამოსული ლექსების ნიაღვარი მალამოდ იღვრებოდა ყველა წალენჯიხელის გულში...

თქვენ არაერთი ლექსი მიუძღვენით ჩვენს თანამებრძოლს, ჩვენს მეგობარს, ბატონ გიორგი ცანავას. შემზარა მისი გარდაცვალების სახსოვრად დაწერილმა ლექსმა:

„გული გულიანს უსკდება და
არა უგულოს, —
გული ვერ უძლებს,
იმდენია ჩვენში ურჯულო...
მონებს მონური აღსასრული
უახლოვდებათ,
ხოლო რაინდებს რაინდული
შვენით სიკვდილიც!..“

დიახ, ბატონო რინოს! გულიანები გულის ტკივილით კვდებიან. თქვენც გტკიოდათ გული, გტკიოდათ სული და ამ ტკივილს ქვეყნის ტკივილი ერქვა... მომიტევეთ, რომ გავკადნიერდი და ამდენის თქმა შემოგბედეთ. თქვენ ყოველთვის იქნებით ღირსეული „კოჩანიერი“ კაცი, ღირსეული ქართველი. ნათელში იყავით!

მაია მიქავა

* * *

ინტერნეტის საშუალებით გავიგე ბატონი რინოსის გარდაცვალების შესახებ, ვიზიარებ ოჯახის მწუხარებას. ბატონი რინოსი იყო კოლხი, ნამდვილი პატრიოტი, სიტყვები არ მყოფნის მის შესამკობად.

ბატონო რინოს! თქვენი სახელი მარად დაუვიწყარი იქნება, მუდამ იცოცხლებს თითოეული წალენჯიხელის გულში, მსუბუქი იყოს თქვენთვის მშობლიური მიწა. უფალმა დაგიმკვიდროთ ცათა სასუფეველი ჩემო საყვარელო ადამიანო. მე სულ მოგიხსენიებთ ჩემს ლოცვებში და ამ შორეული მანძილიდან პატივს მივაგებ თქვენს ხსოვნას, თვენი სახელი უკვდავია! აქ, ევროპის ერთ-ერთ ქალაქში ჩატარდა საქველმოქმედო საღამო, სადაც შეკრებილი იყო ქართველების ერთი მცირე ჯგუფი, ვინ როგორ შევძელით ისე მივიღეთ მონაწილეობა, ზოგი ლექსით, ზოგი სიმღერით გამოხატავდა საქართველოს სიყვარულს, თქვენი ლექსის წაკითხვით მივიღე პატარა საჩუქარი, ყველა აღფრთოვანებული იყო, „ერთი წუთი“ ასე ჰქვია ამ ლექსს, მე ეს ლექსი ზეპირად ვიცოდი და სულ მემახსოვრება... აბა რას ვიფიქრებდი, რომ ერთი თვის მერე ბატონი რინოსის გარდაცვალებას შევიტყობდი.

ჩემო ძვირფასო რინოს! ჩემთვის მარად ცოცხალი იქნებით და წმინდა ნიკოლოზის ამ წმინდა მიწიდან შევთხოვ უფალს ნათელში ამყოფოს თქვენი წმინდა სული. ამინ!

ნარგიზა ბელქანია

* * *

უზომოა ჩემი მწუხარება, როგორ მინდა მოთქმით ვიტირო ჩემი რინოსი ბიძია, ჩამოსვლას ვერ ვახერხებ და ეს უფრო მამწარებს. გითანაგრძნობთ ყველას, ჩემი სული და გული თქვენთანაა ამ მძიმე დღეებში. მიუხედავად იმისა, რომ დრომ ასე დაგვაშორა ერთმანეთს, მთელი თქვენი ოჯახი მუდამ ჩემს გვერდით იყო, მე თქვენს ოჯახში ჩამოვყალიბდი ადამიანად, თქვენი მეშვეობით გავხდი ის, ვინც ვარ და ამის დავიწყება შეუძლებელია... მიიღეთ ჩემი სამძიმარი და გულწრფელი მწუხარება, დანარჩენს ჩემს ძვირფას მამობილს საფლავზე ვეტყვი, როცა ჩამოვალ.

ირმა ბერიშვილი

* * *

ბრწყინვალე ადამიანი იყო ბატონი რინოსი, სამწუხაროა, რომ წარსულში გვიწევს მასზე საუბარი, მაგრამ მის სახელს დავიწყება არ უწერია, რადგან ის სამაგალითო და ღირსეული პიროვნება გახლდათ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი უკვდავი სული.

ეკა კალანდია

ქალბატონ ლეილას!

სული მეთოვლება სევდით და ტკივილით,
ამტკივდით ძალიან, და ღამეს არ სძინავს,
გულს კაწრავს პოეტის ლექსების კივილი
და მეც ლექსის ცრემლით
გიცხადებთ სამძიმარს.
უპეში ჩამდგარი ობოლი ცრემლივით
ტანჯვად და ტკივილად შემორჩით
საწუთროს,
მუხლები გეწვებათ სიმწრისგან
მრევლივით,
თქვენთვის მზე არ მზეობს და
წუთი არ წუთობს.
თქვენი მზე მორევმა ფსკერისკენ წაიღო,
ახლა კი არსების ნაწილიც დაკარგეთ.
თითქოსდა ბნელეთის კარები გაიღო,
და ყელზე გახვევენ ეკლიან ნაქარგებს.
სიხარულს დაუხშეთ სუყველა კარი და,
„ტკივილის აფრები“
ცრემლის ზღვას მიაპობს,
რადგანაც პოეტმა დაგტოვათ, წავიდა...
მაგრამ აქ ხმელეთზე სინათლე კიაფობს.
სინათლე — დათუნა, ვახო და თამუნა,
სალომე და მისი პაწია შროშანი.
იმ წმინდა არსების სუნთქვა
თუ გელაბუნათ —
გწამდეთ, დასასრული
ჯერ კიდევ შორს არის...
დღე მოითალხება ღრუბელთა ძაძებით
და სევდის სამოსელს გიქსოვენ წუთები,
უფალმა მოგმადლოთ უნარი გაძლების,
შორიდან გეკრძალვით და გესათუთებით!

ლეილა სიჭინავა.

წავიდა...
რინოს კვარაცხელიას ხსოვნას

წავიდა, გაქრა, როგორც ფოთოლი
შემოდგომისას ხიდან ვარდნილი,
კაცი აღსავსე ნიჭით და რწმენით,
კუთხის მშვენება, ბურჯი ნამდვილი.

ებრძოდა კალმით ყოველგვარ ბოროტს,
გულში უსაზღვრო ტკივილს იტევდა,
ჰგავდა ნამეხარ მუხას, მედგრად მდგომს,
ყოველ ახალ დღეს რწმენით იწყებდა.

წავიდა, ბევრი დარჩა სათქმელი
დარდიც, ტკივილიც და აღმაფრენაც...
დააკლდა სოფელს, მთელ საქართველოს
ბასრი კალამი, მახვილი ენა.

წავიდა, გაქრა, როგორც ფოთოლი
შემოდგომისას ვარდნილი ხიდან,
აქ კი დატოვა ულევი სევდა
და მოგონება ლამაზი, წმინდა.

მანანა კაკაჩია
10.02. 2014 წ

რინოს კვარაცხელიას ხსოვნას

იყავ სიკეთის, როგორც მსახური,
ხარბი ბატონად არროს გყოლია,
იქნებ შვილების ნახვის სურვილში
ცის ანგელოზმა გაგიყოლია.
სახელ-დიდების ვით არ მძებნელმა
აქაც დასტოვე ოქროს წიგნები.
ცად სამოთხეში ბატონო რინოს
გელოდებიან შენი ბიჭები.
რომ იქ დიდი ხნის უნახავ მამას
აფერონ სული გაუხუნარი,
იქნება იყვნენ აქ შენს სიზმრებში,
ვით წუთისოფლის ჩუმი სტუმარი.
ახლა ისინი უცხო წალკოტში
შენთვის ოცნების კოშკებს აგებენ,
ანგელოზნი კი ნეტარ ცრემლებით
საიქიოს გზას გაგინათებენ.
როცა გავიგე შენი სიკვდილი,
მუზის ქალწული ცრემლით მეფერა,
მიიღე ჩემგან, ვით სახსოვარი
გამოთხოვების სევდის სიმღერა.
უფალს ეკუთვნის მეტყველი ენა,
აქ ხმოვან ჰანგად ლექსთა მწყობელი.
ხარ ანგელოზის ახლა, ვით ქნარი
ხმა იდუმალი საგალობელი.
განგებამ მოგცა კაცის ღირსება,
არ ცრუ ღირსების აქ ვით ორდენი.
ხარ, ვით სამოთხე ჩრდილს მიფარული,
თვალთ უხილავი შუქის მომფენი.
განცდაა იგი, ფიქრია ჩუმი,
გულის ნათელი, ვით სიზმარია,
დავიწყებიდან კვლავ გახსენების,
კვლავ განახლების ნიავ-ქარია.
პოეტის გული ამ ქვეყანაზე
ათასჯერ კვდება და კვლავ ცოცხლდება,
იქ მარადიულ ოცნებით ჰყვავის,
უკვდავ სახელით აქ იმოსება!

ავთანდილ ცირამუა.

პოეზიის ჭეშმარიტი ჭირისუფალი

უკვე ორმოცი დღე მიილია, რაც ამ ჭირვარამით სავსე წუთისოფელს განერიდა ბატონი რინოს კვარაცხელიას სული, დიახაც რომ განერიდა, რადგან მან დატოვა ტკივილის, რწმენის, აღმაფრენის და დედასამშობლოს სიყვარულით გამთბარი ჭეშმარიტი პოეზია, რომელიც აგრძელებს ამ ქვეყნად მის მაგივრად ცხოვრებას.

იმ სუსხიანი იანვრის თვეში, როცა ბატონი რინოსის სული უფალს მიებარა, მისი კოლეგები, უახლოესი ადამიანები, მეგობრები ერთხელ კიდევ მიუბრუნდნენ პოეტის შემოქმედებას და თითქმის ყველა მოდიოდა განცვიფრებაში, რა მარგალიტები უთესია მას პოეზიის უკიდეგანო სავანეებში. ნათქვამია, წაქცეული ხე ადლით უფრო კარგად იზომებაო და დარწმუნებული ვართ რინოსის შემოქმედება უფრო მეტად შინაარსიანი და ყოვლისმომცველია, ვიდრე ეს ჩვენ წარმოგვედგინა მის სიცოცხლეში. დარწმუნებული ვართ იმაშიც, რომ შემდგომში მძივებად აკინძულ მის შემოქმედებას უფრო შეიყვარებს მომავალი თაობა.

მიუხედავად თავსდატეხილი უმძიმესი სატანჯველისა, იგი სულით ხორცამდე გამსჭვალული იყო მოყვასის სიყვარულით, სხვისი ჭირი თავის ჭირად მიაჩნდა, სხვისი ლხინი თავის ლხინად.

პირად ურთიერთობებში მახსოვს ერთი ცხოვრებისეული შტრიხი:

ათიოდე წლის უკან ნაკიფუს ცენტრში მოხდა დიდი ტრაგედია, გარდაიცვალა ახალგაზრდა გოგონა. დამწუხრებული ოჯახი ეკუთვნოდა ჩემს სანათესაო წრეს და როგორც კი გავიგე გოგონას გარდაცვალება, იმ დღესვე წავედი სამძიმარზე. გზაზე დავეწიე ბატონ რინოს კვარაცხელიას, მივესალმე, თურმე ისიც მოდიოდა სამძიმარზე ამავე ოჯახში.

ბატონ რინოსს შევეკითხე: — ბატონო რინოს, თქვენს თავს დატეხილი ტრაგედიის შემდეგ არ გიმძიმთ ასეთ ტრაგედიებზე მისვლა-მეთქი და ისიც პირველსავე დღეს?

— არა, ვალერი, საკმარისი ყოფილიყოს ამქვეყნად ჩემზე და სხვებზე თავსდატეხილი ასეთი უბედურებანი, მაგრამ როგორც კი გავიგებ ასეთ უბედურებას, იმ წუთას მივდივარ სამძიმარზე, რომ ჭირისუფალს დავეხმარო ტრაგედიის გადატანაშიო, ვაჩვენო და გავახსენო ჩემი თავი, თუ როგორ შეიძლება გადაიტანო მძიმე წუთები ასეთ უბედურების ჟამსო...

ასეთი ადამიანი იყო ბატონი რინოსი და სხვანაირი ცხოვრება მას არ წარმოედგინა. პოეტი ერთგან წერს:

დავდივარ ხშირად სევდამორეული,
დამყვება ფრთხილად ჩემი ორეული...,
სიცილის, კვნესის, ცრემლების
თანხლებით
ჩვენ გავჩნდით ერთად და
ერთადვე გავქრებით.

ბატონო რინოს, თქვენი ორეული თქვენი შემოქმედებაა, ხოლო სული კი ზეციურ საქართველოშია და როგორც მწუხრის ჟამს პოეტმა ქალმა თინათინ მღვდლიაშვილმა ბრძანა „უფრო დამშვიდებულია, ვიდრე მაშინ, როდესაც მის ოჯახს ზღვისა და ენგურის ტალღებმა გადაუარა...“

ვალერი ლუკავა
ს. ნაკიფუ

ამაგდარი პოეტის ახალი წიგნი

25 დეკემბერს, წალენჯიხის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სააქტო დარბაზის ყვავილებითა და საზეიმო აქსესუარებით გაწყობილი ავანსცენის ერთ მხარეს, მოჩუქურთმებულ სავარძელში იჯდა ჯვარგამოსახული კოლხური ქუდით შემოსილი ამაგდარი პოეტი, რომელსაც გვერდით ანთებული კელაპტრების შუქი დაჰნათოდა, მისი შემოქმედების დამფასებელთ დარბაზი ვერ იტევდა და კულისებში ფეხზე იდგნენ...

საზეიმო ჰანგისა და საყოველთაო ტაშის ხმაზე დაიწყო ლიტერატურული შემოქმედებითი საღამო, რომელიც პოეტ რინოს კვარაცხელიას ახალი წიგნის „წრებრუნვას“ განხილვას მიეძღვნა.

პოეტი რინოს კვარაცხელია!



ჯღეს იგი ცნობილია როგორც პოპულარული პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ავ ბედისწერაზე გამარჯვებული პიროვნება! განსაკუთრებით უყვართ რინოსი მშობლიურ წალენჯიხასა და სამეგრელოში, რადგან აქ უფრო იცნობენ, ახლობლობენ თავმდაბლობითა და გულითადობით, ვაჟკაცური პირდაპირობით, ხშირად ლაკადური მეგრული მახვილი სიტყვითაც გამორჩეულ შემოქმედს, მაგრამ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ საქართველოში, ვინც მის პოეზიას გაცნობილია, შეუძლებელია არ იგრძნოს პოეტის ერთგული, კეთილშობილური შემართება ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების დასაცავად... იგი მუდამ ცხოვრების მღელვარე ზვირთშია და ცდილობს გადმოსცეს ადამიანის სულის ყველაზე სათუთი ხმიანობა...

მამული, სამშობლო, ადამიანის ადგილი სამყაროში, სიმართლის მედგრად სამსახური, ზნეობა და სიყვარული, ტრაგიკული ხვედრის — სიკვდილ-სიცოცხლის უმძაფრეს განცდათა სიმწვავე მისი საფიქრალ-საწუხარია...

პოეზიის სიყვარული მამისგან გამოჰყვა, ფუტკარივით მშრომელ გლეხკაცს, თეოფანეს ბუნებისგან მუზისადმი ლტოლვაც დაჰყოლია და ლექსის გამოთქმა შვებას ჰგვრიდა ხოლმეო. მისი ხსოვნისადმი მადლიერებას გამოხატავს რინოსი:

„კუბოს კარამდე გულმართალი დარჩა და შვილთა პატიოსნება დაგვიტოვა უმძიმეს ტვირთად.“

მართლაც პატიოსნად, უზადოდ განვლო ცხოვრებისეული გზა პოეტმა. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ათეული წლების მანძილზე მშობლიური რაიონის გაზეთში სოფლის მეურნეობის განყოფილებას პირნათლად ხელმძღვანელობდა. 80-იანი წლებიდან ეროვნული მოძრაობის ტალღას აჰყვა — საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაება, — 1993 წელს მკვეთრად ოპოზიციურ გაზეთ „წალენჯიხის ზარებში“ საქმიანობდა, შემდეგ უფრო ფართო მასშტაბით გააგრძელა ოპოზიციურ პრესაში თანამშრომლობა. ჟურნალისტობა ახალგაზრდობიდანვე მისი პროფესია გახდა, ლექსის ჟრუანტელი კი ბავშვობიდანვე თანმხლები იყო და ასეც დარჩა ბოლომდე, პოეტ-ჟურნალისტად. მისი, როგორც ლექსები, ისე სტატიები და ნარკვევები ხშირად ქვეყნდება რესპუბლიკურ თუ რეგიონალურ ჟურნალ-გაზეთებში.

პოეტს ბედისწერამ საშინელი ტრაგედია არგუნა: 1986 წელს რინოსის ორი ვაჟიშვილი, ერთი უკვე ინსტიტუტში ახლადჩარიცხული, 17 წლის დათო, მეორე კი საშუალო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლე ვახტანგი, ორ უახლოეს ნათესავთან ერთად, ზღვაში დაიხრჩო ანაკლიაში, ენგურის შესართავთან. ეს საზარელი უბედურება წალენჯიხის რაიონმა დიდად განიცადა, მისი ექო მთელ რესპუბლიკას გადაწვდა... ოჯახი თავზარდამცემმა მწუხარებამ განადგურების პირას მიიყვანა და მაშინ გამოიჩინა შესაშური სულიერი სიმტკიცე მამამ, — ქალიშვილი ეზრდებოდათ, კვლავ ფეხზე უნდა დამდგარიყვნენ და სწორედ რინოსმა აიძულა მეუღლეც გამკლავებოდა გაუსაძლის ჭირ-ვარამს, თვით რინოსს ლექსებში გამოხატული ტკივილი ესაშველა უწინარესად. მისი დათოც თურმე მალულად წერდა ლექსებს. ეს ლექსები 1989 წელს ცალკე წიგნად გამოსცა მამამ: „ვინც ამ პატარა კრებულს წაიკითხავს, უსათუოდ დარწმუნდება, რომ ყმაწვილკაცის ყოველი ლექსი, თუნდაც ხორკლიანი სტრიქონები სამშობლო ქვეყნისადმი წრფელი სიყვარულით, სიკეთე-სათნოებითაა გამთბარი. იგი დილის ხალასი სიმღერაა, დილითვე შეწყვეტილი...“ ეს სტრიქონებიც მამამ წაუმძღვარა დათო კვარაცხელიას წიგნს: „გაგახსენდები, როგორც სიზმარი.“

მერე, 90-იან წლებში, ვაიდემოკრატთაგან სამშობლოსადმი თავსდატეხლი უბედურების შეგრძნებამ, რინოსის მიერ მეგობრებთან ნათქვამი რომ გავიმეოროთ, მისი პირადი, განუზომელი უბედურებაც კი დაჩრდილა...

ტრაგიკულმა ხვედრმა და ზოგჯერ სასოწარკვეთილებამდე მისულმა განცდამ ვერ გადაახვევინა რინოსს ერთხელ არჩეული გზიდან. მისი პოეზია დარჩა ადამიანის სულიერი სიწმინდისკენ, მაღალზნეობრივი იდეალების ერთგულებისკენ, სიმართლის, უფლისა და მამულის სიყვარულისკენ მოწოდებად და ამასთანავე, უდიდესი სულიერი ტკივილის ამსახველად.

შენი ჭირი ქვასაც ხლეჩდა —
უმძიმესი, საზარი,
უფლის ნებით მაინც შეგრჩა
სული გაუბზარავი!

წერს იგი და მართლაც გაუბზარავი სული შერჩა ლექსების ყველა კრებულში, ამ ტრაგედიების შემდეგ რომ გამოსცა: „სევდის მწვერვალი“ (1992), „ტკივილის აფრა“ (2004). „ტკივილი ჩემი სასთუმალია“ წერს ერთგან და ვინც კი მის პოეზიას ნაზიარებია, პოეტს ამაში უთუოდ დაეთანხმება: რინოს კვარაცხელიას პოეზია ტკივილის პოეზიაა, ოღონდ პირადულზე ამაღლებული...

ახალი წიგნითაც „წრებრუნვა“ მან დაამტკიცა, რომ კვლავაც ქედუხრელი, გაუბზარავი სულით დგას საქართველოს ჭეშმარიტ პატრიოტთა შორის და კვლავაც პირუთვნელად ამხელს ერის სატკივარს... წიგნში თავმოყრილია პოეტის მიერ ბოლო 8 წლის მანძილზე დაწერილი ლექსები და აგრეთვე საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლების, კოლეგების დიდი მადლიერებით გამსჭვალული მისადმი მიძღვნილი ლექსები, სტატიები თუ ჩანახატები. ამდენად ეს წიგნი, ადრე გამოცემულ სხვა წიგნებთან ერთად, შეჯამებაა 80 წლისთავის კარიბჭესთან მდგარი პოეტისა (2014 წლის 24 მარტს უსრულდება) და კვლავინდებურად ასახავს მის აქტიურ ცხოვრებისეულ პოეზიას, რომ იყოს საქართველოს პოლიტიკურ-სოციალური პრობლემების ეპიცენტრში. ნათელი ხდება, რომ იგი კვლავინდებურად ერთ-ერთი ღირსეული მესვეურია შემოქმედთა იმ სახელოვანი პლეადისა, რომელმაც უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადა ეროვნულ მოძრაობასა და საქართველოს ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას დაპირისპირებულ მოძალადე შევარდნაძის, მერე კი ბოროტი თავნება სააკაშვილის ხელისუფლებებს და გააშიშვლა მათ ირგვლივ შემოკრებილი ვაიდემოკრატების ნამდვილი სახე. არ არსებობს დღევანდელი შემოქმედისა და მოღვაწის საქმიანობის უფრო მაღალი და უფრო დიდი კრიტერიუმი, ვიდრე მამულის გადარჩენისთვის მწვავე ბრძოლაში სიმართლის ავანგარდში ყოფნა და ერის უმთავრესი საზრუნავის უღელში შებმაა.

პოეტის გულზე გადაიარა წუთისოფლის დაუნდობელმა ქარბორბალამ, მაგრამ მან შეძლო ვაჟკაცურად გამკლავებოდა მრავალ განსაცდელს და შემართებულად განაგრძო ეკლიანი გზა სიმართლის დასამკვიდრებლად. ახალ წიგნში საქართველოს დღევანდელობის პრობლემებია პოეტის ძირითადი საფიქრალ-საწუხარი:

მერმისზე ფიქრში ღამეც თეთრად უნდა ათენო — გადაჯიშებას გიპირებენ, ფრთხილად ქართველო!

(„ფრთხილად ქართველო!“)

*

დღესაც მტერი ჰყავს ჩვენს ქვეყანას
აურაცხელი,
ბეწვზე ჰკიდია სავალალოდ
მისი მერმისი,
კვლავ ბრძოლა გვმართებს,
ქართველებო, ბრძოლა ფიცხელი
უკვდავებისთვის! — საქართველოს
უკვდავებისთვის!

(„საქართველოს უკვდავებისთვის!“)

*

„ვარდების რევოლუციამ“ რომ საქართველოში წინა ხელისუფლებაზე უარესი დროება დაამკვიდრა, ამას მეტყველებს ლექსი „გიჟური ჟამი.“

დუჟმორეული ბრაზით და ჟინით,
ღვთივდიდებულთა შურით და ზიზღით,
გაუგონარი რიხით და ხინჯით, —
კვარცხლბეკზე გმირის ასკუპდა გიჟი...

ასეთ უმსგავსობას, რაც უნდა გამოეწვია, პოეტი კარგად წარმოაჩენს ლექსში: „ვაი, სირცხვილო!“

ტანში უჟმური დამივლის ელდა,
რად მოგვაქვავეს ყოფა უღირსი,
თურქეთში გარბის ქართველი დედა,
ვაი სირცხვილო! — ლუკმაპურისთვის.

წიგნში ბევრგანაა ასახული „ნაცმოს“ ხელისუფლებით გაუბედურებული ქვეყნის შემზარავი სიმართლე:

ტყუილებს აფრქვევენ ცალ-ცაკლე,
ჯგუფ-ჯგუფად,
დიქტატორს ხატავენ
დემოკრატ შუქურად.
დღისით და ღამითაც გაყიდულ
მთა-ბარში, —
არ წყდება სიმღერა, ცეკვა და თამაში...
ტელეეკრანებზე მასხრობენ, მღერიან,
ქართველს არწმუნებენ
რომ ბედნიერია...

(„მონსტრის ტუსაღია საქართველო“)

*

ზეცა დაგრაგნა საშინელმა
ისევ წყვდიადმა,
და არვინ იცის, ცაზე სხივი
როსღა იელვებს,
საქართველოში ქათველობა დევნილია და
შინამტრები კი მწედ უხმობენ
გადამთიელებს...
გამოჭრილი აქვს ხარს ვეებას
ყელი უდანოდ,
ვაგლახ, იმედის არ ბიბინებს
არსად ჯეჯილი,
დამსგავსებია ეს ქვეყანა ნამდვილ
უდაბნოს —
ორგულებისგან ასე უღვთოს
გადაჯეგილი.

(უსათაურო)

*

ამ კრებულში გრძელდება პოეტის წინა წიგნების ციკლი: „სიმძიმილის უღრანი.“ უსაშველოა სევდა და დარდი ტრაგიკულად დაღუპული ვაჟიშვილების მამას რომ დაუფლებია:

დიდი ხანია არ შორდება
ჩემს ცას ღრუბელი,
ბალიშის ნაცვლად თავქვეშ მიდევს
ქვის სასთუმალი,
მხოლოდ სიზმარი არის ჩემი
ხშირი სტუმარი,
ამო სიზმრიდან გულშემზარავ
ცხადში ვბრუნდები.

და მაინც არ ნებდება პოეტი მწარე სინამდვილეს:

და მაინც ვებრძვი მომრავლებულ
ირგვლივ ნარ-ეკალს —
ვიდრე სიკეთის გამარჯვების
ზარი დარეკავს.

პოეტის აზრით დარეკა სიკეთის გამარჯვების ზარმა,

როცა ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა:

მთას უხარია, ბარს უხარია,
სხვა ფერი დაჰკრავს იმერ-ამიერს.
სამშობლოს ბედი თქვენ გაბარიათ,
დიდებით გევლოთ მრავალჟამიერ!

.....

იდგა წკვარამი, ჩვენც რომ ვერიეთ
და ვაწყდებოდით ერთმანეთს ხშირად,
ჩვენ დიდი ღამე მოვიგერიეთ,
უჟმური ჟამის სასტიკი ქშინვა...

და კიდევ ბევრი ლექსია ახალ წიგნში ყურადღებას რომ იპყრობს, როგორც მამხილებელი სიმართლით, ისე ლირიკული უნაზესი განცდებით.

„წრებრუნვას“ განხილვისას სწორედ ამის შესახებ საუბრობდნენ გამომსვლელები, ახალგამოცემული წიგნის რედაქტორი, მწერალი თამაზ ფიფია, ლიცეუმ „ქიაჩის“ დირექტორი ვარო კვარაცხელია, ობუჯის საჯარო სკოლის პედაგოგები მანანა კაკაჩია და ვალერი ძაძამია, ნაკიფუს

→ 7

რინოს კვარაცხელია — 80

„წრებრუნვა“ წრებრუნვაში დაუტევარი

ლექსების ახალი წიგნი და შეხვედრა ავტორთან

ვამოვიდა პოეტ რინოს კვარაცხელიას ლექსების წიგნი „წრებრუნვა“, რედაქტორი პოეტი და პუბლიცისტი თამაზ ფიფია. წიგნის გამოცემა უზრუნველყო ლადო კვარაცხელიამ.

„წრებრუნვამ“ წრებრუნვით მძიმე გზა გამოიარა — სევდის მწვერვალს შეასკდა ტყვიანასროლი ლექსისა; სევდის მწვერვალს მიეახლა ხმა მქუხარისა ლექსისა, სევდის მწვერვალზე ცეცხლად აენთო სუნთქვა ლექსისა...

...იყო „სევდის მწვერვალი“, „ტკივილის აფრა.“ — „წრებრუნვა“ „ტკივილის აფრის“ დიდებული გაგრძელებაა. წინა წიგნში თუ 70 წლის პოეტის ღვაწლის შეჯამება იყო, ამ კრებულში შემდგომი წლების ლექსებია შეკრებილი. კვლავაც სამშობლოს გულშემატკივრობა, სპეტაკი სათქმელით გულის უსათუთესი სიმების აჟღერებაა. მისთვის უმთავრესი კვლავაც ლექსებშია ჩაუნჯებული მისი ბიოგრაფია და ლექსიდან ლექსში ჩანს როგორ ხდება იგი დღევანდელობის პირუთვნელ, უკომპრომისო მიმომხილველად, წერს წიგნის შესავალში რედაქტორი.

რინოს კვარაცხელიას უმძიმესი ტკივილის ზიდვა არგუნა არსთა გამრიგემ. შვილების დათოსა და ვახოს დაღუპვამ სიმძიმილის უღრანად უქცია წუთისოფელი. ავბედობის წინაშე ქედი როდი მოიხარა, როდი გაიდრიკა, როდი მიეცა „ვაი-ვიშს.“ კალამი ალესა ბასრი მახვილივით და ჯარისკაცივით დადგა რწმენის სადარაჯოზე. მისი პოეზია გამსჭვალულია სამშობლოს მიმართ წრფელი სიყვარულით, თავდადებული ერთგულებით, აპრილის მოსვლით (ლექსთა პირველი კრებული „მოვა აპრილი“) გამოწვეული უსაზღვრო სიხარულს, ბედნიერებას ყომრალი ღრუბლები გადაეფარა, მაგრამ გულის ბობოქრობა სულის სიმტკიცემ გაფანტა, შემართებით გაუყვა მზისკენ გზას, რადგანაც როგორც პოეტი ამბობს:

თუმცა მზე მწყობრი ფერებით
ციდან ნარნარად გვიღიმის, —
სიცოცხლის მშვენიერების
პოეზიათა გვირგვინი.

სიცოცხლის მზებუდობისთვის მუხლჩაუხრელი ბრძოლა გახლავთ რინოს კვარაცხელიას ცხოვრება და პოეზია.

რინოს კვარაცხელიას სულიერი და პოეტური მრწამსი ოპტიმისტურია. აი, როგორ მიმართავს ახალგაზრდობას:

თქვენ გელოდებათ სამყარო, —
თქვენი მთა, ტყე და მინდორი,
თქვენი წილხვედრი ხალისი,
შრომა, ბრძოლა და დიდგორი...
თქვენს ასე დაფრთიანებას
ალბათ მამულიც ნატრობდა,
თქვენ უნდა დადგეთ თქვენივე
ერის და ენის პატრონად.

„წრებრუნვა“ პოეტის მრავალმხრივ საინტერესო შემოქმედების შეჯამებაა, რომელიც მკითხველს ერთხელ კიდევ შესძრავს, მტკიცე, შეუპოვარი შრომით და რუდუნებით საამურ განცდას მოგგვრის პოეტური ხიბლით, ლექსების ცხოველმყოფელობით.

მადლიერმა მკითხველმა საზოგადოებამ საახალწლო შეხვედრა მოუწყო პოეტს, ლიტერატურულ-მხატვრული ღონისძიება გაიმართა მოსწავლეთა სახლში. პოეტს მიესალმნენ: თამაზ ფიფია, ვარო კვარაცხელია, კოტე ნაჭყებია, შოთა წურწუმია, მანანა კაკაჩია, ვალერი ძაძამია, მამანტი ძაძამია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოგა გულორდავა. პოეტს შემოქმედებითი საღამო გაუხმატკბილეს სახალხო ანსამბლმა „ბედინერამ“, სამუსიკო სკოლის მასწავლებელმა თამუნა მიქავამ, თათია გაბელიამ, ქრისტინე და ფალანდა ღვინჯილიებმა. პოეტის ლექსები წაიკითხეს: სესე მიქავამ, ანდრია ცანავამ, გიორგი ბელქანიამ, ვახტანგ ჭანტურიამ, სალომე კვარაცხელიამ, მარი ქარაიამ, მათე ფიფიამ.

ღონისძიება ჩატარდა საკრებულოს, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ინიციატივით.

ცხოვრებაში დგება მომენტი, რომელიც სულთათანაა გულის ნეტარებისა. ასეთი გახლდათ ეს დღეც რინოს კვარაცხელიას, მისი ოჯახის და დამფასებლებისათვის.

ღონისძიებაზე მუშაობდნენ: თეო კვარაცხელია (სცენარის ავტორი, წამყვანი), ნანა მოლაშხია.

პოეტ რინოს კვარაცხელიასთან საახალწლო შეხვედრა გვინდა დავასრულოთ მისსივე სიტყვებით:

ნუ შეჩერდები გოგიას სისხლო,
ნუ დაგერქმევა ნაწისქვილარი.

ოლეგ სალია

„სოფელი რაა და ერთი კაციაო...“

„სოფელი რაა და ერთი კაციაო“ დიახ, თქვენ, ბატონო რინოს, ერთი კაციც ხართ და სოფელიც სრულად... თქვენი ცხოვრება და შემოქმედება იტევს საწუთროს ყველა კითხვას და პასუხსაც... თქვენ სიყვარული ხართ... ნიჭიერება, შრომა, ტკივილი გაუგონარი და ყველას გასაგონად გაძლება უმაგალითო!.. ამასთან, დიდი რწმენა, რომ „გზას არ კარგავს სანთელ-საკმეველი“ — თქვენ ხომ „ზეციერმა შუქად და საგზლად სულისთვის ლექსი მოგართვათ“ და თქვენი შეუდრეკელი სულით მაგალითი ხართ მრავალთათვის...

ბედნიერია ყველა თქვენი თანამედროვე... ვინც თქვენთან ერთად ვცხოვრობთ და თქველი სისადავით, ამ სიდიდეს ბუნებრივად აღვიქვამთ...

და კიდევ... წალენჯიხაში დღეს წიგნის პრეზენტაციაა... ზოგადად ფაქტი მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლოა ყველასათვის და განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობისთვის, წიგნს ხომ სინათლე მოაქვს და ეს სინათლე ანათებს დღეს და გაანათებს მომავალს...

„ღმერთმა ქნას ნატვრა ამიხდებოდეს“ — ასე იწყებთ თქვენს ერთ ლექსს და მეც მინდა ამით დავასრულო... ყველა ნატვრა აგხდენოდეთ, ბატონო რინოს... გულს არ გვიკლავდეს ფიქრი: „რაზე ლოცულობს ახლა ილორი? ჯანღს დაუფარავს ტყე და მინდორი...“ მჯერა საქართველოს გაბრწყინების!.. ერთად გვეზეიმოს...

მადლობა, რომ ხართ... კაციც და სოფელიც სრულად...

გოგა გულორდავა
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
გამგებელი

6 ←

საჯარო სკოლის დირექტორი ვლადიმერ შენგელია, ჩხოროწყუს რაიონის წარმომადგენელი, პოეტი კოტე ნაჭყებია.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აიას“-ს პრეზიდენტმა მამანტი ძაძამიამ გამოსვლისას ყურადღება გაამახვილა აგრეთვე პოეტ რინოს კვარაცხელიას, როგორც ამ აკადემიის აკადემიკოსის მიერ მეგრულად შექმნილი პოეზიის საუკეთესო ნიმუშებზე, რომელთა გამოცემა უახლოეს ხანებში იგეგმება და რაც პოეტს პოპულარობას შემატებს.

პოეტის ასულმა თამარ კვარაცხელიამ გაიხსენა იუმორით შეკაზმული, მამასთან დაკავშირებული ყოფითი მოვლენები და დარბაზში მოუსვენრად მყოფი თავისი შვილიშვილი, პატარა თინათინი მიჰგვარა დიდ ბაბუას გულის გასახარად.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოგა გულორდავამ აღნიშნა პოეტის შემოქმედებისა და ახალი წიგნის დიდი მნიშვნელობა და სიმბოლურ საჩუქრად გადასცა მაცხოვრის ხატი.

დასასრულს პოეტმა რინოს კვარაცხელიამ გაიხსენა უმთავრესი მოვლენები თავისი ცხოვრებიდან: ინსტიტუტის დამთავრებისას შეეძლო დედაქალაქში დარჩენა, სთავაზობდნენ სამუშაოს, მაგრამ მშობლიური რაიონისა და სოფლის მიმზიდველობამ, განსაკუთრებით კი თანასოფლელი ქალიშვილის მიერ გამოცხადებულმა ნდობამ (რომელიც ბოლომდე მისი ცხოვრების ერთგული თანამგზავრი გახდა) გადააწყვეტინა რაიონში დარჩენა. ოჯახისა და პოეზიისადმი ერთგულებამ, სიყვარულმა წარმოუდგენელი ტრაგედიაც დააძლევინა. დღეს იგი შვილისა და შვილიშვილების გარემოცვაში სიცოხლის მადლით ხარობს...

უთუოდ სათქმელად მიგვაჩნია, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიციატივით ჩატარებული პოეტის ახალი წიგნის „წრებრუნვას“ განხილვაზე, სადაც სტუმრები იყვნენ ზუგდიდისა და ჩხოროწყუს რაიონებიდანაც, თვალსაჩინოდ გამოიკვეთა შეკრებილთა დიდი სიყვარული და პატივისცემა რინოს კვარაცხელიასადმი, რასაც უფრო შთამბეჭდავს ხდიდა შემოქმედებითი საღამოს სცენარის ავტორისა და წამყვანის, სახელოვნებო — საგანმანათლებლო ცენტრის კოორდინატორის თეო კვარაცხელიას ლიტერატურული მონტაჟი, ვაჟთა ვოკალური ანსამბლის „ბედინერას“ მიერ შესრულებული სიმღერები, ცნობილი ლოტბარის მურთაზ ციმინტიას ხელმძღვანელობით, — ცალკეული სოლისტებისა და დეკლამატორთა გამოსვლები, რაც ძირითადად განსახილველი წიგნის ავტორის ლექსებზე იყო დაფუძნებული.

მისასალმებელი ფაქტია მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ პოეტის შემოქმედებისადმი ასეთი გულისხმიერი დამოკიდებულება. სასურველია მომავალშიც ასე ნიშანდობლივი და ამაღლებული იყოს ამაგდარ მოღვაწეებთან შეხვედრები, დამსახურებისამებრ დასაფასებლად, როგორც რეგიონებში ისე ქვეყნის მასშტაბითაც.

თამაზ ფიფია,
მწერალი.

მართალ შემოქმედს რინოს კვარაცხელიას!

(წაკითხული პოეტის წიგნის პრეზენტაციაზე)

ქვეყნად სიმართლით უვლია
და სძულს გზა ნაღალატარი,
მოყვრისთვის არის გულღია,
მტრისთვის — სეტყვა და ლახვარი!

მამულისათვის შემართულს
ფარისევლობა ზარავდა, —
და ძლიერ ფესვზე ამოსულს
ვერ მოერია ბარაბა!

სამშობლოს მოღალატეებს
კვლავაც მახვილით დალეწავს,
არც მომავალში დაინდობს —
ორგულს, თითლიბაზს, გარეწარს!..

როცა შხამ-გესლი მოდიდდა,
სისხლი დაღვარა ურჯულომ, —
ნახა კოპწია წენდიხა
გადამწვარ-გადარუჯული...

მერე მის ვარდნარ ეზოშიც
მოლაშქრე შემოგრიალდა,
ყროლს წინ აღუდგა პოეტი,
ვერ შეაშინა გნიასმა!

მიხვდა, აღზევდა იუდას
„დემოკრატიის ფრაქცია“,
რომ „მარჩენალმა“ ქვეყანა
ავგიას თავლად აქცია!

ვინც ვერ გაიგო, რა მოხდა,
თავის თავს დააბრალოსა, —
პოეტი ურჩევს, გაეცნოს
კალმოსნის „ცოდვის კალოსა...“

მამულს დარაჯად რომ უდგას
ეს წლებმა უკვე აჩვენა,
სიმართლისათვის ბრძოლაში
მოუღლელი აქვს მარჯვენა!

პოეტს ერთი სწამს და სხვა აზრს
არასდროს დაემონება:
ქართველს უყვარდეს მამული,
არ დასეტყვოდეს გონება!

მართალი სიტყვის მგოსანი
ღმერთმა გვიმყოფოს ჯანმრთელად,
ბრწყინვალე ეს კალმოსანი
რჩება კვლავაც ნაღდ ქართველად!

რწმენა ერთიან მამულზე
არ შერყეოდეთ ქართველებს
და თქვენც პოეტო ხედავდეთ
მათ აზრით, გონით ჯანმრთელებს!

ორჯერ ოთხმოცი კიდევაც
პოეტო გადაგელახოთ, —
სამშობლოს თავისუფლება
ჩვენ ყველას ერთად გვენახოს!..

ვალერი ძაძამია
25. 12. 2013 წ.

რინოს კვარაცხელია — 80

სპეციალური სტუმარი

...დო ქრისტეცალო ირზენც მენდის...

ჟურნალის რუბრიკისათვის „სპეციალური სტუმარი“ გადავწყვიტეთ, ჩვენს თანამემამულე პოეტს, — რინოს კვარაცხელიას, ვწვეოდით. ბატონ რინოსს ბოლო დროს ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა და გვერიდებოდა, შეხვედრაზე შესათანხმებლად რომ ვურეკავდით. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა პოეტმა თნხმობა განაცხადა და ჩვენი სტუმრობა დიდ პატივად ჩათვალა.



ჟურნალისტებად უფროსკლასელები ლევანი და მარი კვარაცხელიები შევარჩიეთ. აქ პატარა კურიოზიც შეგვემთხვა. შეკითხვაზე, შეხვედრიხართ თუ არა პოეტს ან მწერალს პირადად! იყო პასუხი – არა.

— როგორ, პოეტ რინოს კვარაცხელიას არ იცნობთ?

— რინოს ბიძიას? როგორ არა, მე მის სახლში ვარ ნამყოფი. (ამას მარი ამბობს).

— მე მისი წიგნი მაქვს და ლექსებიც ვიცი ზეპირად (ლევანი).

ბავშვები ღელავდნენ, „რინოს ბიძია“, რომლის ტრაგიკული ცხოვრება და სულში ჩამწვდომი ლექსები ყველამ იცოდა, იყო ის პოეტი, ვისთანაც ინტერვიუს ჩასაწერად მიდიოდნენ...

მაისის მზიან დღეს ვეწვიეთ პოეტს სახლში. წიფლების ლამაზი ხეივანი ავიარეთ და დიდაივნიანი სახლი გამოჩნდა. ეზოში გაფენილი სკებიდან ფუტკარი მწიფე მუშმალას შესეოდა, კივის და ყურძნის თალარში მზე ვერ აღწევდა, კიბესთან უზარმაზარი პალმა გაშლილიყო, ჭიშკარი რომ შევაღეთ, ღობესთან გაბადრულმა ვარდებმა თავები შეარხიეს. მთელ საკარმიდამოში ისეთი პოეტური მყუდროება სუფევდა, თითქოს ყველა მცენარის ყოველ ლერწს და კუნწალს ან განან ბან ასო ასო ჰქონდა ასხმული ის მშვენიერი ლექსები, პოეტი კი ბუნებასთან თანაზიარი მათ სათუთად კრეფდა და ფაქიზად ალაგებდა წიგნის ფურცლებში.

ჭიშკრის ხმაურზე პოეტის მეუღლემ, ქალბატონმა ლეილამ გამოგვხედა. მიუხედავად გადატანილი მძიმე ტრაგედიისა, ასაკისა და გადაღლილობისა ორ წუთში ისე მოახერხა, თითქოს ძვირფასი სტუმრები ვიყავით საუფო კარის მიღებაზე მისულნი.

მეორე სართულზე კაბინეტში შეგვიძღვნენ. ბავშვები კიბეებზე რომ მიაბიჯებდნენ, გაოფლილ ხელისგულებს ისრესდნენ (მერე გამოტყდნენ, ასე გვეგონა ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდის ჩასაბარებლად შევდიოდითო. და ასეც იყო) დარბაზში პოეტის შვილიშვილის დათოს ჯერ კიდევ გაუწაფავი ხელით შესრულებული ნახატი ეკიდა. აბობოქრებული ზღვა და მოციმციმე სანთელი. ერთდროულად თრგუნავდა და იმედითაც აღავსებდა მნახველს. პატარა, ნათელი კაბინეტი სავსე იყო წიგნებით, ნახატებით და ყმაწვილი ბავშვის სურათებით. პოეტი სუსტად გამოიყურებოდა, მაგრამ მაინც შემოგვეგება...

საუბრის დროს ბავშვებმა შეგნებულად აარიდეს თავი მძიმე შეკითხვების დასმას, თუმცა პოეტს რას გამოაპარებდნენ. გამოუცდელი, ჟურნალისტების ბავშვურად სასაცილო მონდომებამ ღიმილი მოჰგვარა ბატონ რინოსს, თვალები გაუბრწყინდა, ბავშვობა გაიხსენა, როგორ ცხოვრობდნენ ძველად, როგორ თევზაობნენ, რას თამაშობდნენ, როდის დაწერა პირველი ლექსი...

თვითონაც ღელავდა, პატარებთან რამე არ შემეშალოსო, დიდი სიყვარულით, ჰყვებოდა შვილიშვილებზე, შვილთაშვილზე. მერე ბავშვები შეაქო, რჩევადარიგება მისცა: — ბევრი ეკითხათ, საქართველოს ისტორია, ესწავლათ, მოვლენებზე საკუთარი აზრი ჰქონოდათ...

საჩუქრად საკუთარი წიგნები დაურიგა, თან კეთილი სურვილები წაუწერა ავტოგრაფთან ერთად.

მუშმალაზე ფორსირებული იერიშის შემდეგ საუბარი სუფრასთან გაგრძელდა, იყო ბევრი იუმორი, სითბო და სიყვარული. ვერც კი შევნიშნეთ როგორ მოსაღამოვდა და ჩვენი წასვლის დროც დადგა.

ფართო ეზოში ჭიშკრისკენ მივდიოდით შთაბეჭდილებებით სავსე. პოეტმა ვერ გამოგვაცილა, აივანზე გამოსული იქვე სკამზე ჩამოჯდა და თავზემოთ აწეული ერთმანეთზე გადაჭდობილი ხელებით დაგვემშვიდობა.

ნელ-ნელა თვალს მიეფარა ნათელი ეზო, ფართო აივნიანი სახლი და ვარდებით გაბადრულ ჭიშკართან მდგარი პოეტის მუზა, თმებგადათოვლილი ულამაზესი ქალბატონი...

პოეტ რინოს კვარაცხელიას ლექსები ბევრმა ზეპირად იცის განსაკუთრებით ულურიაში. მასზე ბევრი თქმულა და დაწერილა ტელევიზიით თუ ჟურნალ-გაზეთებში. ჩვენი მიზანი უკვე მრავალჯერ ნათქვამის განმეორება არ იყო, გვინდოდა ჩვენი თვალით, როგორ დააბიჯებდა ადამიანი საკუთარ მამულში, როგორ შრომობდა, რას განიცდიდა, როგორ უვლიდა ფუტკარს, ვაზს, როგორ ჩამოასხამდა მზისფერ ღვინოს, როგორ უყვებოდა შვილიშვილებს წინაპრების ამბებს, რა იყო მისი ძალა, რითაც ის მძიმე ბედისწერას გაუმკლავდა, დაამარცხა სიკვდილი, ავადმყოფობა, დროც კი როგორ შეძლო დამდგარიყო გაუსაძლის ტკივილზე მაღლა, რათა თითქმის ოთხმოც წელს მიღწეულს ეთქვა:

მე ბედნიერი ვარ!

ეს ჩვენი შეხვედრის მთავარი და მნიშვნელოვანი გზავნილი იყო. ეს იყო ჩვენს გულებში ფესვგადგმული იმედი, რომ ადამიანის შესაძლებლობებს საზღვარი არ აქვს, რომ თურმე ყველა სიძნელის დაძლევა შესაძლებელია.

ბატონი რინოს კვარაცხელია ყოველთვის იქნება ჩვენთვის უტეხი ნებისყოფის მაგალითად, რომელიც... ...დო ქრისტეცალო ირზენც მენდის!

P.S. სანამ ჟურნალი დაიბეჭდებოდა პოეტის ახალი წიგნი გამოვიდა — „წრებრუნვა“. ჩვენი ჟურნალისტები პრეზენტაციაზე იმყოფებოდნენ. ულურიის სკოლა ულოცავს პოეტს და უსურვებს კიდევ ბევრი ლექსით გაეხარებინოს მკითხველი.

სამყაროში ყველაფერი წრეზე ბრუნავს და ერთ დროს ყველაფერი თავის ადგილს უბრუნდება. ამ შემთხვევაში წლების შემდეგ მოხდა ბედნიერი წრებრუნვა და „გაელვიძათ ბოკვერების ლამაზ ნატერფალს“ ჭიშკართან ისევ იძახიან დათოს და ვახოს.“

ამიტომაც არის პოეტი ბაბუა ბედნიერი!..

ნ.კ.

მოგესალმებით პატივცემულო საზოგადოებავ და მოგესამლებით ბატონო რინოს!

ძალიან მიხარია, რომ წილად მერგო ბედნიერება დღეს ჩემი თქვენდამი უსაზღვრო პატივისცემა და სიყვარული გამოვხატო.

თქვენ ეკუთვნით იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთაც ძალუძთ პირადულზე მაღლა დააყენონ ქვეყნის, ერის სამსახური და არ დაიღალნონ ბოროტებასთან ბრძოლითა და ფარისეველთა მხილებით.

მთელი თქვენი ცხოვრება მაგალითია იმისა, თუ რაოდენ სულიერად ძლიერი შეიძლება იყოს ადამიანი, თუ როგორ უნდა გაუძლოს ბედის უსაშინლეს დარტყმებს, ვაჟკაცურად ატაროს თავისი წილი უმძიმესი ჯვარი და პირნათელი იყოს ხალხის, სამშობლოს, შთამომავლობის წინაშე.

მე მიხარია, რომ თქვენ არსებობთ, რომ გამოჩენილ წალენჯიხელთა სიაში საპატიო ადგილი გიკავიათ, მიხარია, რომ ჩვენ საერთო ფესვები გვაქვს.

გილოცავთ თქვენ, თქვენს მშობლიურ წალენჯიხას, მთელს საქართველოს კიდევ ერთი ლამაზი წიგნის დაბადებას.

ქედს ვიხრი თქვენი ადამიანობის, შეუდრეკლობის, პირდაპირობის წინაშე. კიდევ დიდხანს ყოფილიყავით ჩვენდა საამაყოდ.

სულით, სხეულით
ნამდვილი კოლხის
ეტალონად ხართ ქცეული
ჩემთვის,
დღეს სიყვარულით
წარმოთქმულ სიტყვებს
მოკრძალებული ჩემი ხმაც
ერთვის.
ამ წარმატებებს გილოცავთ
გულით,
კიდევ მრავალი წიგნი
გვენახოს,
რადგანაც არის გზავნილი იგი
და შეუძლია უფრთოდ
ფრენა ხომ,
რომ თქვენი გულის
ძალუმი ძგერა,
თქვენი ოცნება და
თქვენი ფიქრი,
დღევანდელობას
მარტო კი არა,
ხვალინდელ დღესაც
გადაწვდეს რითმით.

მანანა კაკაჩია
25. 12. 2013.

სტუმარად პოეტთან



ჟურნალ „ხელოვნების“ რუბრიკისთვის „სპეციალური სტუმარი“ ჟურნალისტებად შეგვარჩიეს მე და ლევანი. ჩვენ პატარები და გამოუცდელები ვიყავით, ამიტომ ძალიან ვნერვიულობდით. აღმოჩნდა, რომ ყველანი ვიცნობდით რინოს ბაბუას, მისი ლექსებიც წაგვიკითხავს, მაგრამ მის შესახებ, როგორც პოეტზე ძალიან ცოტა რამ გვცოდნია.

გადამწყვეტ დღეს (ომერ მასწავლებელმა წაგვიყვანა მანქანით) როცა პოეტს უნდა შევხვედროდით, განსაკუთრებით ვნერვიულობდით. კარებთან შემოგვეგებნენ რინოს ბაბუა და მისი მეუღლე. გულში ჩაგვიხუტეს და დიდ პატივად ჩათვალეს ჩვენი სტუმრობა. შეგვიპატიჟეს ოთახში, რომელიც სავსე იყო წიგნებით, სურათებით და ნახატებით.

შევეკითხეთ ბავშვობაზე, ახალგაზრდობაზე. მძიმე თემებს თავი ავარიდეთ იმიტომ რომ ჩვენი ასაკის გამო მაინც ვერ ჩავწვდებოდით მისი ტკივილის სიღრმეს, მას ხომ ორი ახალგაზრდა ბიჭი დაეღუპა ერთდროულად. ყველა შეკითხვაზე სიამოვნებით გვპასუხობდა. ჩვენ გახარებულები ვიყავით რომ ასე თუ ისე თავი გავართვით და ბევრი სისულელეც არ გვითქვამს. ინტერვიუს დასასრულს ლექსი წაგვიკითხა, ჩვენც გვთხოვა წაგვეკითხა მისი ლექსები, ლევანმა წაიკითხა — „მამყოფეთ მზეზე.“ მე ნერვიულობისგან ყველა დამავიწყდა, ისე ძალიან მომწონს ტკივილის აფრიდან „ჩემი ცხოვრების ხეს ვაცლი ფოთლებს...“ ამასობაში სუფრასთან მიგვიპატიჟეს, მანამადე ეზოში მდგარ მუშმალას შევესიეთ, მე და ლევანი ზევითაც ავხოხდით. ამ სახლში ხომ ყველაფერი სხვანაირად გემრიელი იყო. საუბარი სუფრასთანაც გაგრძელდა, ისაუბრეს პოლიტიკაზე, პოეტმა შეგვაქო და დაგვარიგა რომ კარგად გვესწავლა. ბოლოს დავემშვიდობეთ და სახლში მისულს ეს ყველაფერი ადვილად მოემჩვენა, მაგრამ რაც იქ ვნახეთ, გავიგეთ და განვიცადეთ არასოდეს დამავიწყდება.

მარიამ კვარაცხელია,
VII კლასი

რინოს კვარაცხელია — 80

დათო კვარაცხელია



პოეტ რინოს კვარაცხელიას უფროსი ვაჟი დათო, თავის უმცროს ძმასთან ვახტანგთან და ახლო ნათესავებთან მამაშვილ ფელიქს და ლევან შენგელიებთან ერთად, ანაკლიაში ზღვის სტრიქონმა შეიწირა...

დათო კვარაცხელია თურმე მალულად წერდა ლექსებს, დარჩა მცირე ლიტერატურული მემკვიდრეობა. დათოს ბედკრულმა მამამ თავი მოუყარა მის ლექსებს და 1989 წელს ცალკე წიგნად გამოსცა — „გაგახსენდები, როგორც სიზმარი.“

წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ვინც ამ პატარა კრებულს წაიკითხავს, უსათუოდ დარწმუნდება, რომ ყმაწვილკაცის ყოველი ლექსი, თუნდაც ხორკლიანი სტრიქონები სამშობლო ქვეყნისადმი წრფელი სიყვარულით, სიკეთესათნოებითაა გამთბარი, იგი დილის ხალასი სიმღერაა, დილითვე შეწყვეტილი.“

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ ლექსებს და ჩანახატს დათო კვარაცხელიას კრებულიდან: „გაგახსენდები, როგორც სიზმარი.“

* * *

მუხას მაგონებ საქართველოვ —
ჩემო მამულო,
ფესვებგაბარჩხულ,
მხრებგაშლილ მუხას,
ჩვენ კი ყველანი
ფოთლები ვართ —
ნორჩი, მწვანე,
ფარფატა ფოთლები,
ქარს არ ვუშინდებით,
შენთვის ვიშრიალებთ,
შენს ძლიერ ტოტებს
მოვწყდებით ვიდრე
და ფეხთ ჩაგივარდებით...
კვლავ შენს სადიდებელს
ვიღაღადებთ
მრადიულო მუხავ ძლიერო!

გაგახსენდები, როგორც სიზმარი

მოთოვს მალე და ნაზი და თეთრი
სევდა სულშიაც დაბინავდება,
ალბათ მე მაშინ გაგახსენდები,
მაგრამ ვაი, რომ დაგვიანდება.
გაგახსენდები, როგორც სიზმარი,
შორეული დ ბინდით მოსილი,
როგორც ნიშანი სიყვარულისა,
ტირიფის ძირას
ჩვენი ქორწილის.
ახლა კი უკვე შემოდგომაა,
ის ტირიფი კი დგას გაძარცული,
ვითარც ახალი სიზმრის დაწყება
და იმ ნათელი დღის დასასრული.
მოთოვს მალე და ნაზი და თეთრი
სევდა სულშიაც დაბინავდება,
ალბათ, მე მაშინ გაგახსენდები,
მაგრამ ვაი, რომ დაგვიანდება.
გაგახსენდები,
როგორც სიზმარი...

ტერენტი

სულის სიწმინდეა ალბათ პოეზია,
სული შენი ნისლშია გახვეული,
ცისფერი თვალები და
ცისფერი სიშორეა,
შავი და თეთრია ერთად არეული.
შენ დადიოდი, ეძებდი შველას,
იყავი წმინდა, თეთრი სრულებით,
ებრძოდი ლანდებს,
მაინც ეტრფოდი,
თეთრ სულს ებრძოდნენ
შავი სულები...
ეს პოეზიამ იცის ფრთის გაშლა,
ცის სილურჯეში ოცნებად აჭრა,
და ცხოვრებიდან მოდის
ყოველი —
ცრემლი, გოდება, ოცნება,
ტანჯვა...
გიყვარდა ღამე და
წუხდი დღისით,
იყავი მშვიდი — ოცნება შორი —
ისევ რეკავენ ზარები ქარში —
„მემენტო მორი“, მემენტო მორი.“

*

გამხმარი ხე გააცოცხლა ჩიტმა —
იჯდა ტოტზე და
უსტვენდა დიდხანს,
ხეს სიმწვანე დაუბრუნდა
თითქოს —
ჩიტის სტვენა გამოესხა
კვირტად...

*

მე თვალებს ვხუჭავ და
ვდგავარ ზღვასთან,
ო... ალბათ ზღვაა
თავად ცხოვრება,
წავალ ჩემი გზით და უზრუნველი
ბავშვობის წლები მომაგონდება...
და შორს დარჩება
ლურჯი ნაპირი,
სიზმრად გამყვება მზე და
აპრილი...

*

გამარტებამ ყინვა-თოვლს
ხელი ისე დარია,
ამ ნაზამთრალ მიწას და
ზეცას გაუდარია...
ციმციმებენ ბექობზე
ენძელები და ია
და მე ასე მგონია
შემომცინის დაია...
მივალ, ფრთხილად ვაბიჯებ
მწვანე ჯეჯილს ნამიანს,
ყვავილები — დებია,
და მე — მათი ძამია.

*

რითმებს ვეძებ,
სიტყვებს ვეძებ მძინარიც,
მოდით, ნახეთ
ჩემი ნაცოდვილარი.

შენი წილი

წუთისოფლად რადგან მოხველ,
შენი წილი დაიმღერე,
თორემ ჟამი გაგაოხრებს
და იქნება გვიან მერე...
შენი წილი ზიდე ტვირთი,
ცრემლიც ღვარე შენი წილი,
მოევლინე მამულს შუქად
და ოცნებად ფრთაგაშლილი.

*

ჩემი ოცნება ისე დიდია,
როგორც შავი ზღვა
დაუშრობელი,
ჩემი ლექსი კი ლურჯი
კვირტია —
ამ მიწის ციცქნა საგალობელი.

ძაღლი

ღამის სიბნელეს უყეფდა მურა,
აღრენილს მუდამ შურისძიებად,
ასე ეგონა — თითქოსდა ღამეს
ყეფით და ღრენით იგერიებდა.

*

მზე მაცდურად იცინის,
ჟამიც თითქოს მშვიდია,
ეხ! ცხოვრება ვინ იცის —
იქნებ ბეწვის ხიდია...

*

სიბნელესთან ბრძოლაში
გული თუ არ დაღალე,
გინდ მიწაზე ყოფილხარ —
გინდ წოლილხარ სამარეს...

ზ ღ ვ ა

(ჩანახატი)

ღამე ილეოდა. ზღვის ტალღები ჯიქურ მიიწევდნენ ნაპირებისაკენ, ასკდებოდნენ ქვიშიან სანაპიროს, მერე ცხრებოდნენ, უკან იხევდნენ და ისევ ახალი ძალით ეკვეთებოდნენ.

შფოთავდა ზღვა, ხმაურობდა, თითქოს ვიღაცას ემუქრებოდა გაცოფებული, მოაგორებდა აქაფებულ ტალღებს...

ზღვის პირზე გამორიყულებივით იდგნენ მოხუცი და ბიჭუნა — ბაბუა და შვილიშვილი. მოხუცს მეზღვაურის ძველი მაისური ეცვა, იდგა იგი ხმელი წიფელივით, ტალღები ფეხებს უსველებდნენ, შხუილით ევლებოდნენ გაცვეთილ ფეხსაცმელებზე, მაგრამ მოხუცი ამას ყურადღებას არ აქცევდა.

როცა ტალღა უკუიქცეოდა, შვილიშვილი ბაბუასთან მიირბენდა და იმწამსვე უკან იხევდა, შიშველ ტერფებს არიდებდა წყალს. უკვირდა პატარას, რატომ იყო ასე გაავებული სტიქიონი.

— ბაბუ, რა აბრაზებს ზღვას? — ჰკითხა გულუბრყვილოდ.

მოხუცს მხოლოდ გაეცინა, პასუხი არ გასცა.

— ბაბუ, რატომ უყურებ ამდენ ხანს, რამე დაკარგე ზღვაში?

მოხუცმა ერთხელაც მოავლო თვალი არემარეს, მერე შვილიშვილს თავზე ხელი გადაუსვა.

— დავკარგე... მართლაც დავკარგე... — სინანულით უთხრა, — ზღვაში დავტოვე ჩემი სიჭაბუკე, მას შევალიე სიცოცხლის უდიდესი ნაწილი, ასე მგონია ფეხიც კი წყალზე ავიდგი, მე მეზღვაური ვიყავი ორმოცი წელი, ეს ხომ თითქმის მთელი სიცოცხლეა, ამიტომაც ხშირად მოვდივარ აქ, ვდგავარ გარინდული და ყურს ვუგდებ ზღვის საუბარს... ხან მშვიდს, ხანაც მშფოთვარეს და დაუცხრომელს.

დაღუპული გემის კაპიტნებივით იდგნენ ბაბუა და შვილიშვილი და ზღვას ისე მისჩერებოდნენ, თითქოს სასწაულს ელოდნენ.

ზღვა კი უკვე დამცხრალიყო, აღარ იმუქრებოდა, მზე სანახევროდ ჩაძირულიყო წყალში, მოხუცი ჰორიზონტს გასცქეროდა, ბიჭუნა კი — ხან მოხუცს და ხანაც წელამდე ზღვაში ჩანთქმულ მზეს, რომელიც ნელ-ნელა იძირებოდა უძირო სტიქიაში. ბიჭს ენანებოდა დასახრჩობად განწირული მნათობი, ოცნებობდა მომხდარიყო სასწაული და ისევ ამოსულიყო მზე ზღვიდან — თუნდაც დასველებული და გალუმპული.

გავარვარებული მზე მთლიანად ჩაეშვა ზღვაში...

— ჩავიდა, მწუხარედ თქვა მოხუცმა მეთაურმა.

— ისევ ამოვა, — გაამხნევა ბიჭუნამ.

სიტყვა წარმოთქმული მწერალ თამაზ ფიფიას მიერ წიგნის — „წრებრუნვას“ პრეზენტაციაზე (25. 12. 2013 წ.)

პატივცემულო საზოგადოებავ! ქალბატონებო და ბატონებო!

მსურს ეს საუბარი ჩვენს ძვირფას თანამემამულე ძმასა და მეგობარზე დავიწყო ათიოდე წლის წინათ ჩემს მიერ დაწერილი სტრიქონებით:

რინოს კვარაცხელია!

ეს სახელი და გვარი მრავლისმთქმელია პატიოსანი, მართალი წალენჯიხელებისთვის (და არა მარტო მათთვის!), რადგან ბატონმა რინოსმა ცხოვრებისეული გზითა და შემოქმედებით ცხადყო, რომ ალალმართლობა, კაცურკაცობა, ჭირში გაუტეხელობა, მორალური სიმტკიცე არის ის დვრიტა, რაც უმთავრესია საზოგადოებაში საპატიო ადგილის დასამკვიდრებლად, ხალხის სიყვარულის მოსაპოვებლად. მისი შემოქმედება დიდვაჟკაცური სულის, საქვეყნო იდეალებისათვის შემართებული კაცის პოეზიაა. იგი მუდამ ცხოვრების მღელვარე ზვირთშია და ცდილობს გადმოსცეს ადამიანის სულის ყველაზე სათუთი ხმიანობა.

მამული, სამშობლო, ადამიანის ადგილი სამყაროში, სიმართლის სამსახური, ზნეობა და სიყვარული, ტრაგიკული ხვედრით გამოწვეულ განცდათა სიმძაფრე, — აი, მისი საფიქრალ-სამწუხარი... ვაიდემოკრატთაგან სამშობლოსადმი თავდატეხილი უბედურების შეგრძნებამ, მის მიერ მეგობრებთან ნათქვამი რომ გავიმეოროთ, პირადი განუზომელი უბედურებაც კი დაჩრდილა...

რინოს კვარაცხელიას პოეზია ადამიანის სულიერი სიწმინდისაკენ, მაღალზნეობრივი იდეალების ერთგულებისაკენ, სიმართლისა და მამულის სიყვარულისკენ მოწოდებაა უწინარესად და ამასთანავე, ცნობილი მიზეზების გამო, უდიდესი სულიერი ტკივილის ამსახველია:

„შენი ჭირი ქვასაც ხლეჩდა, — უმძიმესი, საზარი,
უფლის ნებით მაინც შეგრჩა სული გაუბზარავი!“

წერს იგი და მართლაც ვინც რინოსს იცნობს, დამერწმუნება, რომ გაუბზარავი სული შერჩა მერეც, როცა პირადი საზარელი ტრაგედია კიდევ უფრო გაუღრმავა საქართველოში მომხდარმა კრიმინალურმა სამხედრო გადატრიალებამ, ეროვნული ხელისუფლების დამხობამ, შინაღალატმა და განუკითხაობამ. „ტკივილი ჩემი სასთუმალია“ წერს ერთგან და ვინც კი მის პოეზიას გაეცნობა, ამაში პოეტს უთუოდ დაეთანხმება. დიახაც, რინოს კვარაცხელიას პოეზია ტკივილის პოეზიაა, ოღონდ პირადულზე ამაღლებული...

ამ სტრიქონებს ახლაც სიტყვა სიტყვით ვეთანმხები და იმიტომაც გავიმეორე.

ახალი წიგნითაც „წრებრუნვა“, რომლის განხილვაც დღეს შესდგება, მან დაამტკიცა, რომ კვლავაც ქედუხრელი, გაუბზარავი სულით დგას საქართველოს ჭეშმარიტ პატრიოტთა შორის და კვლავაც პირუთვნელად ამხელს ერის სატკივარს... ნათელი ხდება, რომ იგი კვლავინდებურად ერთ-ერთი ღირსეული მესვეურია შემოქმედთა იმ სახელოვანი პლეადისა, რომელმაც თავისი მოღვაწეობით უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადა ეროვნულ სახელმწიფოს დაპირისპირებულ მოძალადე შევარდნაძის, მერე კი ბოროტი თავნება სააკაშვილის ხელისუფლებებს და მახვილი სიტყვით გააშიშვლა მათ ირგვლივ შემოკრებილ მედროვე ვაიდემოკრატთა ნამდვილი სახე.

არ არსებობს დღევანდელი შემოქმედისა და მოღვაწის საქმიანობის შეფასების უფრო მაღალი და უფრო დიდი კრიტერიუმი, ვიდრე ამ, მამულის გადარჩენისთვის მწვავე ბრძოლაში სიმართლის ავანგარდში ყოფნა და ერის უმთავრეს საზრუნავში შებმაა...

ახალ წიგნში თავმოყრილია ბოლო 8 წლის მანძილზე დაწერილი ლექსები და აგრეთვე საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლების, კოლეგების მადლიერებით გამსჭვალული მისადმი მიძღვნილი ლექსები, სტატიები თუ ჩანახატები. ამდენად ეს წიგნი, ადრე გამოცემულ სხვა მის წიგნებთან ერთად, ერთგვარი შეჯამებაა 80 წლის კარიბჭესან მდგარი პოეტისა და კვლავინდებურად ასახავს მის აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციას, რათა იყოს საქართველოს პოლიტიკური და სოციალური პრობლემების ეპიცენტრში.

„წრებრუნვა“ გაგრძელებაა ყოველივე იმ საუკეთესოსი, რითაც აქამდეც ცნობილი იყო რინოსი და რაზეც პირადად რამდენჯერმე მივანიშნე მკითხველსაც და მსმენელსაც წიგნებსა თუ გამოსვლებში.

ამჯერად რინოს კვარაცხელიას შემოქმედების განხილვას აღარ შევუდგები. მჯერა, რომ ამისი დრო და ადგილი ბევრჯერ დადგება, მით უმეტეს, რომ ძალზე ახლოს არის საიუბილეო თარიღი. ახლა მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რომ მიუხედავად ტკივილის აფრით გამოვლილი გაუსაძლისი სიმძიმილის უღრანისა, იგი მაინც გამარჯვებული პიროვნება და შემოქმედია, რადგან შეძლო შემართებულად იმედის სხივს მიჰყოლოდა და მწარე წუთისოფლისთვის გამოეტაცა საერთო აღიარების დიდებულება, რაც უთუოდ ძალიან ძნელი იყო პატარა ქალაქისა და სოფლის სინამდვილეში.

ახლა უფრო სხვა მხარეს მინდა გადავხარო თქვენი ყურადღება:

მან გაიმარჯვა, რადგან ძლიერია ის ფესვი, რისგანაც ნერჩი იყარა მისმა შემოქმედებამ, შემდგომში კი რტოებად გამოინასკვა მისი უნიჭიერსი შვილები, დათო და ვახტანგი, რომლებიც ჩვენს ხსოვნაში მარად ჭაბუკებად დარჩნენ. დედ-მამის სიცოცხლის ერთ-ერთ ნუგეშად შემორჩა თამარი, ჩვენი დიდებული თამრიკო, რომელიც დღეს მასპინძელია ამ შესანიშნავი შემოქმედებითი საღამოსი ისევე, როგორც ბევრი სხვა ღირსსახსოვარი ღონისძიებებისა ყოფილა წარსულში. მან, მეუღლე ვალერი ჭანტურიასთან, წალენჯიხელთათვის ფართოდ ცნობილ და დიდად საყვარელ ამ პიროვნებასთან ერთად შეუძლებელი შეძლო, აღასრულა დამწუხრებული პოეტის ნატვრა: ოჯახის თითქმის გახმობამდე მისულ რტოზე აღმოაცენა საიმედო კვირტები — თავისი ძმების მოსახელე ვაჟები. მისმა ქალიშვილმა სალომემ კი შვილისშვილისშვილი მოუვლინა ჩვენს სახელოვან პოეტს.

ესეც ხომ მუხთალ წუთისოფელზე გამარჯვების მაგალითია, — კარგი კაცობის ზეიმია!

მსურს განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო რინოსის მეუღლის, ქალბატონ ლეილას მიმართ, რომლისგან მიგრძვნია, როცა ოჯახია გადასარჩენი, რაოდენ ძლიერი უნდა იყოს თუნდაც შვილების დამკარგავი გამწარებული დედა და ამავე დროს მიგრძვნია რარიგ ძნელია პოეტის ცოლობა სოფელში, სადაც ყოველდღიურად იმდენი საქმეა, თითქმის არ რჩება დრო პოეზიისთვის. (ანალოგიური ამბები ალბათ ამ დარბაზში მსხდომთაც მოუსმენიათ ან წაუკითხავთ თვით ვაჟა-ფშაველას მეუღლის მოგონებებში) და მაინც ქალბატონი ლეილა და დედამისი, რინოსის სიდედრი ქალბატონი ვერა ოჯა-

→ 10

რინოს კვარაცხელია — 80

9 ←

ხის ჩვეულებრივ ურთიერთობებზე მაღლა იდგნენ. ქალბატონ ვერას, ნეტარხსენება მის სახელს, მოარული ნათქვამი მინდა გავიხსენო პოეტი სიძის მისამართით: ასეთ რამეებს რომ წერს ისეთი კაცი მიწის სამუშაოებზე არ უნდა მოაცდინოო.

ასევე განსაკუთრებით სასიამოვნოა შვილიშვილების დამოკიდებულება ბაბუასადმი. წიგნის ახალ გამოცემას ძირითადად დათო და ვახტანგი პატრონობდნენ — ნაბეჭდ ტექსტს დედანს უდარებდნენ. ვახტანგმა წიგნის ტექნიკური რედაქტორობაც გასწია — მხატვრულად გააფორმა ყდა და შიგთავსი, თვითონვე ჩამოუტანა დაბეჭდილი წიგნები და ავადმყოფობით დაჩაგრულ ბაბუას გუნება გამოუკეთა შეძახილით: ჯერ ვერსად ვერ გაგიშვებთ, ბაბუა, ჯერ შენი ცხოვრების გზა უნდა გაიხსენოო!

ასევე სამაგალითოა უმცროსი ძმების ომინისა და როინის დამოკიდებულება პოეტი ძმისადმი. ძმიშვილმა ლადომ კი ისევე, როგორც წინა წიგნი, ამჯერადაც ახალი გამოცემა დაუფინანსა!

რინოსი თვითონ არის კარგი მამა, კარგი მეუღლე, კარგი ბაბუა, კარგი ძმა და რაც მთავარია, ჩინებული პოეტი. ამიტომაც მოექცა იგი დიდებული ადამიანების წრეში.

გასახსენებელ-მოსაგონარი და ახალი სათქმელიც ბევრი აქვს უპატიოსნესი, პოეზიის თაყვანისცემელი გლეხკაცის ოჯახში გაზრდილს, ქვეყნისა და პირადად მისთვის უძნელეს პერიოდში ცხოვრების გზა სახელოვნად გამოვლილ პიროვნებასა და პოეტს, ჩვენს უძვირფასეს მეგობარ რინოს კვარაცხელიას.

ჩვენი სადღეისო სურვილიც ეს არის: კიდევ ბევრი რამ გაიხსენოს, ახალი შექმნას და შესძინოს თავის დიდ მონაგარსა და ნაღვაწს!

ვუსურვოთ ჯანმრთელობა და დღეგრძელობა!

თამაზ ფიფია

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ პოეტ რინოს კვარაცხელიას ლექსებს მისი პირველი წიგნიდან „მოვა აპრილი“, რომელიც 1981 წელს გამოიცა.

სამშობლო

ხარ ხმლის მოქნევა მთიდან ბარამდე
და ცხელ ძარღვებში სისხლის კივილი,
მახარებს შენი მზე და სიმაღლე
და მტკივა ყველა შენი ტკივილი...
მინდა გიმღერო დედაო მიწავ,
სისხლი წვეთ-წვეთად
შენთვის დავცალო,
ნუ მოგვეშლები შენ დასაფიცად,
სიცოცხლის ფუძედ და... სასაფლაოდ.

გოგიას წისქვილი

სოფლის ბოლოში პატარა ღელემ
გადააქცია ქოხი წისქვილად,
ბრუნავდა მერე, ბრუნავდა მერე
და შემოდგომას ფქვავდა
წვრილ-წვრილად.
აფეთქებული სოფლის იმედად
წისქვილი ლამაზ ოცნებას ჰგავდა,
ხშირად ღამითაც არ იძინებდა
და სიმინდივით ზღაპრებსაც ფქვავდა.
ბევრი დაფქვა და ბევრი წაიღეს,
მაგრამ ყოფილა ღონემიხდილიც,
სოფლის სიმდიდრეს და სიღარიბეს
გლეხის გულივით გრძნობდა წისქვილი.
ხან სავსე ჰქონდა სიუხვით უბე,
ხან დაღვრემილი კაცივით დუმდა
და ჰგავდა ჩიტის ცარიელ ბუდეს
ხის ფუღუროში დარჩენილს უქმად.
ახლა, გოგია, შენი წისქვილი
ბრუნავს, თოვლია თუ მზე აცხუნებს;
ღელე ჩხრიალებს შენი სისხლივით,
წყალი კი არა, ხვავი აბრუნებს...
და მე მგონია, ღელე თავს იხრჩობს,
ღარში ხმაურით გადამდინარი;
ნუ შეჩერდები გოგიას სისხლო,
ნუ დაგერქმევა ნაწისქვილარი!

მარტვილი

ჰოი, რამდენი წლები დასრულდა,
აქ ვინც ილოცა და იმარტვილა,
იქნებ მიწაში ლოცვით ჩასულა
და ამოსულა მერე აპრილად.
წინაპართ სულის არის ჭრილობა,
ტაძრის კედლებს რომ ატყვია ბზარად,
დრო ღრეობდა და დრო მარტვილობდა
და მზეს გუმბათზე კიდებდა ზარად.
და ნათელ ცისკრებს უხმობდა ზარი,
მეტი შუქი და სითბო სწყუროდა,
არვის შველოდა ღმერთი მაღალი
და ზარი მაინც ღმერთებს უხმობდა.
ვინ შეეჭიდა უსაზღვრო სივრცეს,
ცისკენ აუშვა სული აპრილად,
იქნებ მიწაში ლოცვით ჩავიდა
და აღმოცენდა მერე მარტვილად.

მოხუცი მეზღვაური

ხმელეთზე მეტად სიყრმიდანვე
ზღვაზე უვლია
და მისი შუბლიც ზღვის ტალღებად
დაღარულია.
დგას და გასცქერის აზვირთებულ
ზღვას მეზღვაური,
და ზღვა ჰგონია მას ბებერი
გულის ხმაური.
გემს ვერ გაჰყვება,
ძველებურად ვეღარ იმღერებს,
ვაი, ხელ-ფეხზე ბორკილივით
ადევს სიბერე...
სიზმრად ქცევია მკლავის ძალა და
სიჩაუქე,
ზღვაში დასტოვა ის დღეები,
ის სიჭაბუკე...
ტალღები თითქოს მის ჭაბუკურ
სულს მიაგორებს,
დგას მეზღვაური და ნაღვლიან
მზერას აყოლებს.
მზე ჩადის ზღვაში და მის გულში
სევდა ზვავდება,
მოგონებებიც ტალღებივით
აყირავდება...
ხმელეთზე მეტად ბავშვობიდან
ზღვაზე უვლია,
ო... ის დღეები ზღვის სიღრმეში
ჩაძირულია...
ზღვა ხან წყნარია, ხან მრისხანედ
დაიგუგუნებს
და რაც წაიღო, მას არავის
აღარ უბრუნებს...

მე ვიმეორებ...

(მამის ხსოვნას)

მისი სამზეო ამოქოლა
არყოფნის ჯანღმა,
მე წუთისოფლის მდინარეზე
ვდგავარ მებორნედ
და ვიმეორებ მის სიხარულს და
წუხილს ახლა,
ასე მგონია, მის გარდასულ
ხმებს ვიმეორებ...
მე ვიმეორებ მის სიქველეს და
მხრების გაშლას,
მზის სადღეგრძელოს მამულისას
დაწერილს ლექსად,
მე ვიმეორებ ამ მიწაზე მე ვდგავარ რახან
გუთნის დედობას, ჩემს მამულში
ხვნასა და თესვას.
მე ვიმეორებ მის ფიქრებს და
ღამაზ ოცნებას,
ვიდრე საწუთროს მდინარეზე
ვრჩები მებორნედ,
მე ვიმეორებ მის კაცობას, პატოსნებას,
მაგრამ ვინ იცის, იქნებ
ველარც გავიმეორებ...

მოვა აპრილი

შორს მიტოვებულ დღეებს ვიგონებ
და ვიმეორებ ნაცნობ სახელებს;
მოვა აპრილი და დამაღონებს,
მოვა აპრილი და გამახელებს.
მეც შორს ნაცნობი კარავი მიდგას,
მეც ავფეთქდები და ავდიდდები;
შენც ჩემში ისე იზრდები მშვიდად,
ვით მზის ჩასვლისას ხეთა ჩრდილები.
მე მაგონდება ლურჯი იები,
ცა მოსარკული შენი სიცილით
და დაგეწევი, როგორც იმედი
აკანკალებულს გზაში სიცივით.
შენს თმაში კვირტებს გაშლის აპრილი,
ღიმილს მოგვახლის ცა უნაპირო
და... შენსკენ მრჩება ხელი გაწვდილი,
ჯერ არ მოსულო მზევ და აპრილო.

ორბის ფრთებით

ორბის ფრთებით აწეული ცა,
ჯიხვის რქებით დახეული ცა,
ელვასავით დახვეული გზა,
ვაჟას ლექსი, ვაჟას გულისთქმა.
ფშავურ ლექსით გარინდული ტყე,
ვაჟას ენით მოსაუბრე კლდე,
ქარაფებზე გადმომსკდარი რძე,
ვაჟას სუნთქვა, ვაჟას პირიმზე.
მთის ყვავილი, ლელას გიშრის თმა,
ცას გაკრული არწივების ფრთა,
და ხურჯინში მოქცეული მთა —
ვაჟას ლექსი, ვაჟას გულისხმა.

მკითხველებს ვთავაზობთ პოეტ რინოს კვარაცხელიას ლექსებს, 1992 წელს გამოცემული მეორე წიგნიდან „სევდის მწვერვალი“. წიგნი ეძღვნება დათო და ვახტანგ კვარაცხელიებისა და ფელიქს და ლევან შენგელიების ნათელ ხსოვნას...

შენთვის

ზღვას უდრის შენი დაღვრილი სისხლი,
ცას უდრის სული გამქრალი შენთვის,
ისევ სისხლი და სისხლი თუ გიხსნის
და რწმენა — ჩვენი მაღალი ღმერთი...
ო... ამოზრდილო სულის სიღრმიდან
ცად, მიწად, ვაზად, შვილად, პირიმზედ,
ჩემი სიცოცხლის ხეს ვაცლი ფოთლებს
და ჩუმ შელოცვად გაფენ ტკივილზე...
გაფენ ტკივილზე თავად ტკივილო,
იქნებ ტკივილიც წამლად გიღირდეს;
რადგან სიმშვიდე არის სიკვდილი,
მე მეშინია შენი სიმშვიდის...

ცის ავგაროზი

უამინდობამ გული დაწყვიტა,
ტკბილად ვერ გალობს ჩემი ნარჩიტა.
მზემ გამოხედვა აღარ ინდომა,
ყვავილებს ნისლავს უამინდობა.
სწუხან ატმები და ალუბლები,
კარზე მისხედან წვიმის ღრუბლები...
მზევ, მზევ, აგვინთე — ცის ავგაროზი,
რომ დაგვიბრუნდეს ისევ ტაროსი...

ერთი წუთი

ერთი წუთი, ერთი წუთი —
ჩვენ რა ცოტა გვგონია,
მაგრამ ზოგჯერ ერთი წუთიც
საუკუნის ტოლია.
ერთი წუთი მრავალ ათას
წუთში გამოერევა,
ისეთი რომ სიცოცხლეში
გყოფნის ბედნიერებად...
ხშირად წელიც ისე გავა —
თითქოს არც მიცხოვრია,
მაგრამ ზოგჯერ ერთი წუთიც
უკვდავების ტოლია...
ასეთ წუთებს ვეთაყვანე,
ასეთ წუთთა სიმრავლეს,
აღმაფრენას სულისა და
ფრთათა ჩვენთა სილაღეს...
დავიჩოქებ შენს ჭიშკართან,
შენს ხატის წინ ვილოცებ,
შენს სიცოცხლეს ენაცვალოს
ჩემი წუთი — სიცოცხლე.

ეკლესია

ღვთიურ სიწმინდეს ოდითგანვე
სანთელს უკმევდა —
იმჟამინდელი ეზმანება
ლოცვა-კურთხევა...
ურწმუნოებით, მკრეხელობით
განაოცები —
ცას აწყდებიან დაზაფრული
ანგელოზები...
ისე მომრავლდა სიკეთის და
ღმერთის მოძულე —
ღვთის რისხვა ადგას ცრუ ღმერთებად
ქვეყნად მოსულებს...
დგას ეკლესია უღმერთობით
განაწამები —
ლოცვა-გალობას ელოდება
წმინდა მამების...
ყოვლისმფარველი გადმოხედავს
ცოდვილ სამრევლოს —
ღვთიურ სიკეთეს ჩამორეკავს
მისი სამრეკლო...
სანთელ-საკმელი გაანათლებს
უფლის საცხოვრისს —
ცად ამაღლდება ეკლესია
წმინდა მაცხოვრის!

სიყმაწვილის სიმღერა

ათოვს მთა-ბარს თეთრად
ზეცის ათინათი,
ჰგავს ერთმანეთს ზამთრის ცა და
მინდორი,
თუ დავკარგე, კარგო შენი მისამართი —
არ ვინაღვლებ, გული მაინც გიპოვის...
ამ ზამთარმა სულში დარდი ჩამოთოვა,
გული კვნესის ჭირისაგან დახრული,
სიხარულმა სამუდამოდ მიმატოვა,
მწუხარება დამრჩა ჯერ არნახული.
სევდა ათოვს ჩემი სახლის სახურავს
და მგონია მუდამ ასე ითოვებს,
რა ვქნა, გულმა ველარ გაიზაფხულა,
შენს ძებნაში ჭირ-ვარამი ვიპოვე...
ათოვს მთა-ბარს თეთრად
ზეცის ათინათი,
ჰგავს ერთმანეთს ზამთრის ცა და
მინდორი,
თუ დავკარგე, კარგო, შენი მისამართი —
არც ვინაღვლებ, გული მაინც გიპოვის.

ჩემს სასთუმალთან

თითქოს გამძარცვეს, მიმატოვა
თეთრმა ოცნებამ,
ზამთრის სულიდან მგალობელი
ჩიტი გაფრინდა,
ჩემს სასთუმალთან ზის
ნიადაგ სევდა-მოწყენა,
თითქოს გამაგდეს წუთისოფლის
ცისფერ სახლიდან.
ვაი, თუ მართლაც ნაცარივით
ვარ დაშრეტილი
და ჩემი ლექსის თავად ვიყო
ბოლო წერტილი...

ჩემი მაღლობიდან

ჩემში შორეული დღენი ამოძრავდა,
მესმის შეკივლება
გრძნეულ ამორძალთა...
მინდვრად გაზაფხულმა ისე იტკარცალა,
ზოგს ვარდი აჩუქა და
ზოგსაც — სამსალა...
ჩემს თმაზე ჭაღარა ისე განებივრდა,
თავს მადგას სიბერე მძიმე ზარებითა...
გზებს გავცქერ გამოვლილს
ჩემი მაღლობიდან,
დაღლილ-დაქანცული შორი
მგზავრობითა...

შენი ძახილი

ამ სამზეოზე შენი მოსვლა
ვინ მიითვალა,
ფეხზე ჰკიდია მზეს და მთვარეს —
მოხველ თუ არა...
ვის რად უნდიხარ — ცა და მიწა
არის თავისთვის,
შენი ძახილი ამ ხრიოკზე
ხრინწად გაისმის...
ნუ დაღონდები — ისევ მოვა
ჟამი თავნება,
შენი ვაგლახი რით დაიწყო —
მით დამთავრდება.

ღვენთავს სატკივარი

გული ღველფია და სული — საბერველი,
ღვივის სატკივარი გაუქარვებელი...
მიწა ტკივილია, ზეცა დაამება,
მიწა სიკვდილია, ზეცა — დაბადება...
ზეცა სიმშვიდეა, მიწა რია-რია,
მიწა მწუხრია და ზეცა სიზმარია...
მიწა სამარეა, მიწა საზარია,
ზეცა სამოთხეა, ზეცა ნარნარია...
მიწა ოხვრაა და ზეცა სურვილია,
ზეცა — შთაგონება, ოქროცურვილია...
გული ღადარია, სული — საბერველი,
ღვენთავს სატკივარი გაუქარვებელი.

რ ი ნ ო ს კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა — 80

„ნოჯიხურის“ მკითხველებს ვთავაზობთ პოეტ რინოს კვარაცხელიას ლექსებს მისი მესამე წიგნიდან „ტკივილის აფრა,“ რომელიც 2004 წელს გამოიცა. „ტკივილი ჩემი სასთუმალია,“ წერს პოეტი ერთგან და ვინც კი ლექსების ამ კრებულს გაეცნობა, ამაში პოეტს უთუოდ დაეთანხმება – მისი შემოქმედება მართლაც ტკივილის პოეზიაა, ოღონდაც პირადულზე ამაღლებული და ერის საფიქრალს შერწყმული...

მე თქვენზე მეტი მაქვს ტრაგედია

(აღსარება ტერენტი გრანელის სულისადმი)

ამ სამზეოზე მზე არ ანათებს,
ცის მოტრიალდა რისხვით ბორბალი;
ქვეყნის ორგულებს და მუხანათებს
აქვთ ნეტარება გაუგონარი.
ეს მერამდენედ მოკლეს იმედი,
ეს მერამდენედ — უნუგეშობა,
და საქართველო უფლის წილხვედრი
დღეს ურჯულოთა სათარეშოა.
დღე ღამესა ჰგავს გაუცინარი,
გული სიმძიმილს გაუხეთქია,
მე თქვენზე მეტი მაქვს სატირალი,
მე თქვენზე მეტი მაქვს ტრაგედია.
სულში უსაზღვრო ბოღმა გროვდება,
წინაპართ ძვლების ისმის გოდება, —
კაცურკაცობას და სათნოებას,
მშობელ მიწაზე არ ედგომება...
სიკეთისა და სიცოცხლის ნაცვლად
ავსებულია მიწა ცხედრებით;
გამგმირავია სიკვდილის განცდა,
გამგმირავია მკვდარს რომ ედრები.
ჟამი ბობოქრობს ავად მზირალი,
ჯვარცმა სიკეთის თურმე ხვედრია,
მე თქვენზე მეტი მაქვს სატირალი,
მე თქვენზე მეტი მაქვს ტრაგედია.
არ შეირჩინა ბევრმა მორალი
და უკეთურიც ისე მომრავლდა, —
მგონია ცისკარს კორტნის ყორანი,
ლეშივით კორტნის ქვეყნის მომავალს...
შიგნით და გარეთ, ყველგან მტერია,
ნებივრობს სკვითი ენგურს გადაღმა;
ვისაც ეღირსა ბედნიერი, —
მშობელი მიწის მკერდზე გადაყრა.
რადგან მეუფობს ეშმა ტიალი,
ახლა ვაებაც უფრო მეტია;
მე თქვენზე მეტი მაქვს სატირალი,
მე თქვენზე მეტი მაქვს ტრაგედია.

ისევ მოელის...

ესკიზი პორტრეტისათვის
ის მოევლინა მამულს ღვთაებად,
ყველას მაგივრად ჯვარზე გასული;
ბნელში მსხდომთათვის კვარს
რომ ანთებდა, —
ქვეწარმავლებით შემოგარსული...
კოლხურ ფესვიდან ამოზრდილს
მკვიდრად
ყრმას დაუწესა ბრძოლა გამჩენმა, —
ჰერაკლესავით შებმოდა ჰიდრას
იბერთა მოდგმის გადასარჩენად!
ის მოევლინა ღვთიურ სიწმინდედ
ქვეყანას ქცეულს ავგიას თავლად;
იყო და აღარ ჰგავდა მიწეირს, —
ათასთა გულში იმედებს რგავდა...
მაგრამ ორგულთა და არაკაცთა, —
სიკეთისათვის არგუნეს ჯვარცმა...
ახლა დაისი დგას მეწამული
და ბნელს სინათლე მიჰყავს ზვარაკად;
რარიგ ამაღლდა მისით მამული, —
უმისოდ როგორ დაპატარავდა!
მძიმედ ჩამოწვა ჟამი წყეული,
მაგრამ არ ცხრება ჟინი ცხოველი
და საქართველო ასე გვემული —
თავის ხსნას კვლავაც მისგან მოელის!..

ჯვარცმული ქრისტე

(მერაბ კოსტავას ხსოვნას)

მოიქანცა და დადუმდა თითქოს,
გული, რომელიც სამყაროს იტევს;
არა, — მამულის მერმისზე ფიქრობს, -
სიმართლისათვის ჯვარცმული ქრისტე.
ვერ შეაშინებს ქარი ხენეში,
სხვამ თავდადება ვინ შეძლოს მისებრ;
ვეღარ ისვენებს სასუფევლში, —
გველეშაპს ებრძვის ისევ და ისევ...
კვლავ გვერდით უდგას
ძმას ქრისტესმიერს
უკვდავ საქმისთვის თანამოსაგრედ
და დამშვიდებაც არ უწერია, —
თავისუფლების მზის ამოსვლამდე.
ნუ გეგონებათ, დადუმდა ვითომც
რაინდის გული რვალივით მტკიცე, —
ისევ მამულის მერმისზე ფიქრობს, —
სიმართლისათვის ჯვარცმული ქრისტე.

1989 წ.

ვაი, რომ არვინ ყიდულობს აკვანს

ტანჯული გული ისევ აკვნესდა,
რა საშინელი ჟამი მძვინვარებს, —
ნაკლებად ვხედავ ახლა აკვნებს და
შიგ მზეს და მთვარეს პირმომცინარეს...
როცა უჟმური ძვალ-რბილში გვატანს,
როცა შუქს გზები გადაუღობეს;
ვაი, რომ არვინ ყიდულობს აკვანს, —
მუშტარი მხოლოდ ჰყავს მეკუბოეს...
ისევ დაბნელდა ჩვენი მთიები
ცრუთა და ყრუთა ურცხვი ღალატით;
აღარ გალობენ მაფშალიები, —
მარტო ყვავ-ყორნის ისმის ყრანტალი...
ავსებულია დიდი საცრემლე
გაუგონარი ქმუნვით და სევდით;
თუმც საქართველოს ჯვარზე აცმევენ
მე მაინც მჯერა, აღდგება მკვდრეთით...
ჯერ კი უჟმური ძვალ-რბილში გვატანს,
როცა შუქს გზები გადაუკეთეს;
არვინ ყიდულობს ხარატულ აკვანს, —
მუშტარი მხოლოს ჰყავს მეკუბოეს...

მკითხველებს ვთავაზობთ პოეტ რინოს კვარაცხელიას ლექსებს მისი ბოლო, მეოთხე წიგნიდან „წრებრუნვა“, რომელიც 2013 წელს გამოიცა. „წრებრუნვა“ „ტკივილის აფრის“ გაგრძელებაა. პოეტი თავისი ახალი ლექსებით კვლავაც გულშემატკივრობს სამშობლოს, ლექსებშია ჩაუნჯებული პოეტის ბიოგრაფია და ჩანს ლექსიდან ლექსში როგორ ყალიბდება იგი დღევანდელობის პირუთვნელ, უკომპრომისო მიმოხილველად...

მტრობენ სამშობლოს

ვერ იმერაბა ვერავინ და
ვერ იზვიადა, —
მიტომ მოიცვა საქართველო
ასე წყვდიადმა...
ლომაიებმა,
სააკაშვილ-ბოკერიებმა,
მზაკვრულად სცადეს
ქართველობის მოგერიება...
მტრობენ სამშობლოს
ვერაგულად
ღიად, ფარულად, —
გამართული შეჯიბრება,
როგორც მარულა...
ვარდებს კი არა, დღეს პირიდან
ყრიან ლენცოფას, —
თვით ამკვიდრებენ ბოროტებას
და უღმერთობას.
როცა სულბნელნი
მტრობენ ქართულ
ცნობიერებას, —
ხალხს ჰპირდებიან სამოთხეს და
ბედნიერებას.
სჩანს, დაივიწყეს გუშინდელი
დანაპირები, —
ეროვნულ ფესვებს ამოძირკვას
რომ უპირებენ...
ვერ იმერაბა ვერავინ და
ვერ იზვიადა, —
ამად მოიცვა საქართველო
ასე წყვდიადმა.

კლავენ ღმერთკაცებს

ილია მოკლეს ასი წლის წინათ,
ზვიადიც მოკლა
ბილწმა დროებამ,
მოკლეს შარაძე და
მწარედ გმინავს, —
ენა, მამული, სარწმუნოება...
დრო სატანური სწირავს
ღმერთკაცებს
და უკუღმართი მიდის დინებით;
იქნებ ჯალათნი თავს იწონებენ
ყველაზე დიდი ნანადირევით...
თუმცაღა დაფნის
გვირგვინის ნაცვლად
მამულიშვილთა არგუნეს ძეძვი, —
მწამს იქცევიან ჯალათნი ნაცრად
როს დაედგმება
ღმერთკაცებს ძეგლი...

ძმა ძმისთვისაო...

(ომინ და როინ კვარაცხელიებს)

ნალს და ჩლიქს შორის ჩამჭედა
ჯოჯოხეთურმა ბედმა;
გრიგალმა გადამიარა
ცრემლთა უწყვეტელ დელგმად...
როს დავრჩი გულდათუთქული
უბედურების გამო;
ძმა ძმისთვის, შავი დღისთვისო, —
თქვენ მაგრძნობინეთ ძმანო!
თუმცა „ხარი“ ვარ ხნიერი, —
ლექსების დავდგი ძნაო;
ძმანო, თქვენით ვარ ძლიერი,
თქვენით გავძელი ძმანო!..

მოდის სიბნელე

ამოეფარა ბნელი ძალა
სისხლისფერ ვარდებს, —
ძალა რომელიც ეროვნებას
არაფრად აგდებს...
მოდის სიბნელე და სიბილწე
ეშმას ნაშობი, —
გულღვარძლიანი, ვამპირივით
სისხლის გამშრობი...

* * *

ჩვენი ქვეყანა
მან გახადა ასე ვერანი, —
მაოხარს მხსნელად
რომ სახავენ ოტროველანი.

უკუსვლა

წინსვლის გზა ჩახერგილია,
წინსვლად საღდება უკუსვლა;
სამშობლო დაღვრემილია, —
ისე იმძლავრა ბურუსმა...
ოხვრა-ტირილის ხმა ერთვის
აქ ამღერებულ შადრევანს;
სჩანს ქართველოს მერმისი
უფრო და უფრო შავდება...
ღმერთო, იხსენი მამული,
გველს გამოსტაცე ხელიდან,
ყველა ორგული მგონია,
ვინც დადის გულარხეინად.

ლაკადური კოჩი რდ. ოხორანდ წალენჯიხაში რაიონიში სოფელი ნაკიფუს. უღუდ სქვამი ოზე-კარი, მუშ ხეთ დონადგინა ღვინი, შურიში მუმაფერაფალი ლერსეფი დოო მუთ მთავარი რენი, საქორთუოში ცოროფა. ჭარაქ ვედენდ რინოსი. ართი უჩა დღას, უჩა ზღვაქ ჟირი ქომოლსქუა მიდუღ. თიში ცხოვრებაში არზი მოთალეფი დო პოეზია რდ.1980-90-2000-იანი წანეფ გიშაშქუმალირი აფუდ ლერსეფიში წიგნეფი. „ნოჯიხურიში“ მაკითხირალეფც მივარზიენთ რინოს კვარაცხელიაში მარგალური ლერსეფც.

ციკლიდან — „ლაკადური“

კოჩანა

ეჩდოვითი ვარჩხილიშა
ართგანი შურც გგმოჩანა
კოჩიში სახელი ბრელც ჯოხო, —
ჭიჭეს უღუ კოჩანა.
ართმანგი რენო ცა დო რობუ,
ვარა სუფთა გური დო ჩონჩი,
კოჩიში სახელც მუკოტყობუ
მუზმა უკოჩობაში კოჩი.
ართგანი ფერს ითირანც
მუჟამც ფუჩხას ქოჩანა;
კოჩანა რე ღურა დღაშა
ასქვლადირი კოჩანა.

ლერსის უმარგ ჩქიმი შური

სინწარე დო გურიში ჭუა
ნამთინი ვამორინუანც;
ღურას ქიმუოდირთქვნი, —
ლერსი მუკმორთინუანც...
ღუმა შური ეშმოლდგ,
ტანც დაჩხვრი გუმორზდ,
მუკმაჯინე ჩქიმდა მირდ, —
ლერსი მინჯეთ ალამირდ.
ლერსო იბიბრქვ დო იმგარქ,
მა თიში ძალა თიცალც ბჯერც;
ჯგვრი ლერსი თელც ვარ,
ღურელც ხოლო უმინჯენც...
ლერსეფი ჩქიმი იმენდი რე,
ჩქიმი ბირა დო ჩილამური,
ცაშა მანტებუ — მაფურინე
ლერსის უმარგ ჩქიმი შური.

ჭყონი

სი ქვგალე ჩქიმი ჭყონი,
სქანი ოჭიშის ქვმკუაპონი,
იმენდიში შარა ბგორი,
ჯვეშის ახალი ქიგუოცონი.
მუზმაშა რექ გცნარგინჯა —
იშენი ხარენც სქანი ნაჯინჯა.
ჩქიმი მენდი რექ, ჩქიმ ოჭმარე,
ენა მუ უჩქ შხვა დო შხვას;
სქანი ოსხუნური მითინ ვარე;
ჩქიმი ცა დო დიხა შქას.
დიდი ჭყონი რექ საქორთუო,
ღორონთიში ნარგი რექ,
სქანი სპუალა ბრელც ოკო,
მარა მითინც ვამასპექ.
ჩქვ ჟირხოლოს ართი პუნა
ქიანაში მოჯგირე დო ნტერი,
ნტერც ღურა დო მოჯგირეს
ქუძირდა ბედინერი.

ქიანა ვერგ უმინჯურო

ჩქნნერი მის უღუ ზღვა
დო გვალა,
თიში მინჯეთ ვებრგთ ვარა,
მეზობელც დო მეშარეს, —
არძოს ოკო მიდაღალა.
თეში გურმოჭვე ამდღა მირე, —
მუზმა მიდაღალირირე.
მინი თურქიში რე, მინი —
რუსიში,
მინი თათარი დო სომეხიში.
ვართი დინახლე,
ვართი გალე, —
ჩქინი მინჯე მითინი ვარე.
მუჭოთ ჩქჩქ უძუძურო, —
ქიანა ვერგ უმინჯურო.
აიშა მობრთით მინჯალათ,
ართი გურით დო პიჯალათ.
მარა ამდღა ჩიჩიეცალო, —
ჩქვ გინიფრთით გაძიცალო,
მუშ დიხას დო მუში წყარც
შხვა მი ირძენც ჩქცნცალო.
ნტერც ნამთინც ვავორჩთ,
ართიანცგ პილნთ ვარა,
მიდაღალირი ჭიჭე ვარე,
ჭუმე მეტის მიდამღანა.
ჩქვნ დუცუ ვოცილთ ძალო
კინ ჩქინი გურიში გასოფალო,
გალენი ნტერიში მანგიორო
გეგნოგიბეს სამარგალო,
თეზმა მუშენი ვაუჩქუნა
ნერჩის მუშენი ოჩხუპუნა,
შხვა ვორეთო გაჯინალო,
ართი ვარენო საჯიმალო,
იბჩიებუთ ხმამაღალო:
საქორთუო ვადინ გვალო,
ოდო ქიცი სამარგალო.

ჯინჯი

ირფელც უღუ მუში ჯინჯი,
მუთუნი ვერგ უჯინჯეთ,
შურო მუთგრე გარზებული
თიზმა ფსოფით, ურგინჯეთ.
მაზაკვალიში ზუკოლით,
კინი ჩქვნი დუცუ მუბღოლით, —
ჩქვნი ოხვამე, ჩქვნი ხატი
ჩქვნი ხეთ აკოფუფჩხოლით.
ჯგვრობუა სოლე მიშ
თიჯგუა ნერჩი დუორცხით,
ჩქვნი გურიში ზგსხვრით
ჩქვნი ნტერეფი დუორძღით.
შხვაში ჩხუპის დემაბრცხით;
მუჭო გვნძას დიბრულეთ,
მუ გვიანო გობკურცხით...
ანწი ვარა მიჩქვდანი
მუ ბქიმინათ, სო იბდათ,
შურით ოკო ვადუანთხათ,
ჯინჯის ოკო დუართათ
ჩქვნი ჭირი ვაფუბლათ,
ნტერი დუასაფულათ.

ქვმიჭიშე გოთანაფა

სქანი ცა რე მუნაფილი,
გური მაფუ წყუნაფილი,
ირი დღა დო ირი სერი —
ნარღის გინოცუნაფილი.
სი რექ ჩქიმი შურიში დგვმა,
სქანი ლახალა მა იბგვნა
სქანი უმუშო ვორდენი თიშა
ღურა მისხუნუ მა სქანწკმა.
ჩქიმი დიდა რექ, ჩქიმი მუმა,
ბაბუში ყებურიში კუმა,
ჭიჭანობას ტუტამი ჭკვდი
თაქი მაფუ ეკნაჭკუმა.
ამდღა გური ჭვილი გაფუ,
მუ ბქიმინა, მუ გერსაფა,
ირო სერი ვეცუაფუ, —
ქვმიჭიშე გოთანაფა.
სი რექ ჩქიმი შურიში დგვმა,
სქანი ჭუას მა იბგვნა,
სქანი უმუშო დორინაშა, —
ღურა მისხუნუ მა სქანწკმა.

გაზაფხული მოვიდა მარიეტა...



მარიეტა კაკაჩია დედულეთში (სეფიეთი, 04. 08. 2011 წ.)

ისევ მოვიდა გაზაფხული, კვლავ შემოგვცინა დედამინამ ენძელების, იების, ფურუსულების სახით, მაგრამ ნაღვლიანია მარი სიცილი ობუჯში. სასაფლაოზე კი სიცილის ნაცვლად თავჩაქინდრულნი არიან ყვავილები, ეს იმიტომ რომ სოფელს, შენს საყვარელ სკოლას აკლია შენი ღიმილი, შენი ხალისიანი სიცილი და შეძახილები მარიეტა.

ერთი წელი გასულა უკვე. თითქოს საოცრად უსასრულო და სევდიანი, მაგრამ მაინც რა უცებ გავიდა ეს წელიწადი უშენოდ. ჯერ ისევ ღიაა ის ჭრილობა, რომელიც შენმა ამ ქვეყნიდან წასვლამ მოგვაყენა ყველას, მთელ სოფელს, მაგრამ განსაკუთრებით შენს ახლობლებს, თანაკლასელებს, მასწავლებლებს.

გვიჭირს უშენობა, გვაკლიხარ, ძალიან, ძალიან გვაკლიხარ მარიეტა სწავლას დაწაფებული. ბევრი კარგი წამოწყების მოთავე, შეუპოვარი, ერთგული, ფაქიზი სულის გოგონა. საშინელებაა იმის განცდა, რომ ვეღარა-

სიცოცხლე ძლიერ გიყვარდა...

გული ტკივილებს ვერ იტევს,
მკერდი გაგლიჯოს ლამის,
გემშვიდობებით მეგობარს...
საშინელია წამი.
სიცოცხლე ძლიერ გიყვარდა
და შეჰხაროდი ხვალეს,
შენ პირველობა გინდოდა
ყველგან, შინა თუ გარეთ.
დაუზარელი, ბეჯითი
და ენერგიით სავსე,
აი, ასეთი გვიყვარდი...
დაგიმახსოვრებთ ასეთს...
ძლიერ დაგვაკლდი სუყველას,
ამ შენს საყვარელ სკოლას,
აწ როცა მოგვენატრები
იქ, შენს საფლავთან მოვალთ.
და გაგიხსენებთ, ძვირფასო,
თვალებანთებულს, მცინარს...
მშვიდობით, უფლის რჩეულო,
მიგყვება ცრემლის წვიმა...
გვჯერა, სამოთხის კარები
ფართოდ იღება შენთვის
და ანგელოზთა გალობას
ჩვენი ლოცვებიც ერთვის...
მშვიდობით, როგორ გვშორდები...
ღმერთთან იჩქარი ნეტა?
მშვიდობით, დიდო ტკივილო...
მშვიდობით, მარიეტა...

მანანა კაკაჩია
2013 წ.

სოდეს შემოაღებ იმ სკოლის კარებს, სადაც მუდამ ხალისიანი ხმაურით შემოდიოდი...

ალბათ იქ, ზეციურ საქართველოშიც გამორჩეულები მიდიან ადრე. გვჯერა, შენ ანგელოზთა შორისა ხარ და იქიდან გვმფარველობ.

გაზაფხული მოვიდა მარიეტა, შენი საყვარელი გაზაფხული და ლამაზი ყვავილებით, სევდიანი მოგონებებით, ჩვენსავით აცრემლებული სანთლებით გილოცავთ ამ გაზაფხულს...

მანანა კაკაჩია

მარიეტას საფლავი დედა ობუჯში (20. 03. 2014 წ.)

დიდება შენდა!

(მარიეტა კაკაჩიას მარადიულ ხსოვნას)

თვალთა უპენი მევსება ცრემლით...
ობოლ საფლავზე ქვითინებს ქარი...
ცრემლის ზღვას სევდის მიაპობს გემი,
გულში ტკივილის დიდია ღარი...
ცრემლი შევიშრო — ძალა არ შემწევს,
გამინელდება წუხილი, ნეტა?
უბედურების მოვყევი მეწყერს,
მითხარ, რა მიხსნის მე, მარიეტა!..
რომ დაგივიწყო, — მოხდება ოდეს? —
აზრები ესე ვით გავამყარო, —
აპრილის წვიმა ეცემა ლოდებს
და ტრაგედიამ შეძრა სამყარო...
ძვირფასო, საფლავს დაგიწყობთ ტიტებს,
სულის ფორიაქს დააცხრობს ქარი...
ვამჩნევ, ხის ტოტზე დაღვრემილ ჩიტებს,
უშენობას რომ ტირიან, მარი!..
უდროდ დაღუპვა როგორ მანაღვლებს,
შენს ხატებასთან ვჩერდები წამით...
მწამს, ზენაარი ცად აგამაღლებს, —
უპე სველდება ცრემლების ნამით...
ცრემლთა გზას ქარი ვარდ-ყვავილს უფენს,
შეშლილი ფიქრი სადღაც შორს გარბის...
დარდს უზიარებს ღრუბელი ღრუბელს, —
ნამტირალ მთვარეს შეკვრია წარბი...
აზრები ჩემში ასე იწყება —
(და მასში მხოლოდ ერთია მყარი):
რომ უწერია არდავიწყება
შენს სახელს და ეს მახარებს, მარი!..
შენს სახებასთან კვლავაც ვიდგები,
(მოგონებები როგორ „მათრობენ“), —
და მაინც დარდით ვეღარ ვმშვიდდები,
რომ ღამეები გოლიათობენ...
დამაქვს და დამაქვს ნაღველი გულით
და ჩემთან ერთად ქვითინებს ქარი...
საფლავთან ვდგავარ კვლავ დაჩაგრული,
დიდება შენდა, ტკივილო, მარი!..

ვალერი ძაძამია
2013 წ.

ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ...

„თუ სიცოცხლეში აღასრულე შენი მისია, მაშინ სიკვდილიც უკვდავების დასაწყისია“

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ცხოვრებით წარუშლელ კვალს ტოვებენ საზოგადოებაში, მათი ნაკვალევი დიდხანს ანათებს, დიდხანს ცოცხლობენ და მათი მოღვაწეობა დიდი პატივითა და განუსაზღვრელი სიყვარულით აღინიშნება.

ძნელია შეურიგდე აზრს — აღარ არის და აღარ იქნება დიდი ნიჭის, ნათელი გრძნობის, ხალასი გულის, ძლიერი სულის ადამიანი და სანდომიანი ოჯახის ბურჯი ბატონი ვენია მზარეულა.

საქმის სიყვარულით, მოსწავლეზე ფიქრსა და ზრუნვაში სათნოებით, გულის მხურვალებით ბოლომდე დახარჯული, სულის სიწმინდით, თავის პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული, ჭეშმარიტად დიდი ღვაწლით, რომელმაც იმოღვაწა თავისი შემართებით, თავისი სიბრძნით, მაღალი ზნეობით, იგი მაღალზნეობრივი მაგალითია თითოეული ჩვენგანისათვის.

ბატონმა ვენიამ თავისი ცხოვრების გზა სკოლაში მოსწავლეთა აღზრდასა და ჩამოყალიბებას დაუთმო. იგი დაიბადა 1933 წლის 15 თებერვალს წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში. მან 1957 წელს დაამთავრა გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, მათემატიკის სპეციალობით.

1957 წელს დაინიშნა ჯგალის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლად, ხოლო 1959 წელს გადაყვანილ იქნა ნაკიფუს საშუალო სკოლის იმავე დისციპლინის მასწავლებლად. 1961 წლიდან 2013 წლამდე ემსახურებოდა წალენჯიხის მეურნეობის, ამჟამად მე-5 საჯარო სკოლის მოსწავლეთა აღზრდა-განვითარების საქმეს, იყო უაღრესად ერუდირებული, გაწონასწორებული და ჩამოყალიბებული პიროვნება. სამშობლოს თავისი ოჯახის სახით ნამდვილად ქართული ოჯახი დაუტოვა, სამი შვილითა, მეუღლით (ქალბატონი ნარგიზა კვარაცხელია), რძლებითა და შვილიშვილებით.

ბატონო ვენია, თქვენნაირი პიროვნების წასვლით არ შეიძლება ადამიანი არ ჩაუფიქრდეს წუთით წუთისოფლის ამაოებას, საკუთარ თავს და არ აღიაროს სიკეთისა და სიყვარულის მარადიულობა. რასაც თქვენ ემსახურებოდით ამ წლების განმავლობაში. მინდა თამამად ვთქვა, რომ ღირსეულად ემსახურეთ ახალგაზრდა თაობების აღზრდასა და ფორმირებას.

ცხოვრებაში უპრეტენზიო ადამიანმა სიცოცხლეც უპრეტენზიოდ დაასრულეთ, არავინ შეგიწუხებიათ, ისე განერიდეთ ქვეყნიერებას. ყველას დაგვწყვიტეთ გული, საყვარელ ოჯახს, სანათესაოს, კოლექტივს, მოკლედ ყველას, ვინც თქვენ გიცნობდათ. მასწავლებლობა თქვენთვის ზნეობრივი მოწოდება იყო, როგოც სახარების ათი მცნებით ნაკვები და განამდვილებული.

გიწოდონ საუკეთესო, დიდი პატივია, იყო ათასებს შორის გამორჩეული, აღიარებული ბედნიერებაა, თუმცა ამასთან ერთად დიდი ტვირთიცაა, რომელიც ღირსეულად უნდა ატარო და სწორედ თქვენ ბრძანდებით ამ ტვირთის ღირსეული მატარებელი. საქმეს არა წარმოჩენის მიზნით, არამედ პროფესიისადმი დიდი სიყვარულითა და სასუხისმგებლობით აკეთებდით.

ბატონო ვენია, წლები სიმდიდრეა... წალენჯიხის №5 საჯარო სკოლის ათეულ ათასობით ნამოწაფარს ახსოვს თქვენი საინტერესო შემოქმედებითობა, ახსოვს ალბათ თქვენი მრავალმხრივი და მრავალფეროვნებით განვლილი გზა. თუმცა არც სკოლა ივიწყებს თქვენს ღირსეულ ნაბიჯებს. თქვენი მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობდნენ და წარმატებებს აღწევდნენ რაიონულ თუ რესპუბლიკურ ტურებში, ოლიმპიადებსა თუ კონფერენციებში.

თითქოს სხვათა მსგავსი ბიოგრაფია გაქვთ, ბატონო ვენია, მაგრამ საქმეში პრინციპულობა და შეუპოვრობა, შრომისმოყვარეობა და სამართლიანობა ცხოვრების მეგზურად დაგვანათლეთ თქვენს გვერდით მომუშავე ახალგაზრდა პედაგოგებს.

80 წლის ასაკში დატოვა საწუთრო ბატონმა ვენიამ. წავიდა ამქვეყნიდან კიდევ ერთი ნაღდი წალენჯიხელი, ლაკადაში ძირძველი გვარის ბრწყინვალე წარმომადგენელი, ოჯახური დინასტიის წინამძღოლი.

გვჯერა იმისა, რომ თქვენს მიერ მაღალი ზნეობითა და სიწრფელით განვლილ ცხოვრების გზას, ტრადიციებს ღირსეულად გააგრძელებს თქვენი ლამაზი ოჯახი, თქვენი რძალი ქალბატონი ხათუნა თოლორაია, რომელმაც გააგრძელა თქვენს მიერ ბოძებული პროფესია და ჩვენს სკოლას ემსახურება.

მე მჯერა იმისა, რომ თქვენს სახელს დავიწყება არ უწერია, ბატონო ვენია.

ღმერთმა დაგიმკვიდროთ ცათა სასუფეველი, ღმერთმა დაიფაროს თქვენო ოჯახი და თქვენს მიერ დატოვებული სკოლა ყოველგვარი განსაცდელისაგან.

ნანა მიქავა,
წალენჯიხის №5 საჯარო სკოლის დირექტორი.

2013 და 6 ტკივილი

ამბობენ, 13 თარსი რიცხვიაო, მე ეს არ მჯერა, მაგრამ 2013 ძალზე ტკივილიანი აღმოჩნდა ჩემთვის.

თებერვალში გარდაიცვალა დასავით საყვარელი, შვილის სიკვდილით გამწარებული, მაგრამ მაინც ტკბილმოსაუბრე მასწავლებელი კონა გულუა.

მარტში ზეციურ საქართველოში გადასახლდა ჩემი მამიკო ჟორჟი კაკაჩია.

მარტში გარდაიცვალა ერთ-ერთი უსაყვარლესი მოსწავლე, უფაქიზესი სულის გოგონა მარიეტა კაკაჩია.

მარტშივე წავიდა ამ ქვეყნიდან ჩემი ბიძაშვილი, ქუთაისლების უსაყვარლესი ფეხბურთელი ომარ ჯორბენაძე.

აპრილში წავიდა თავის საყვარელ ვაჟთან ჩემი დედამთილი ლენა გელანტია.

დეკემბერში უსაზღვროდ დაგვწყვიტა გული რაიონის პატიოსნების სიმბოლოდ აღიარებული ქალბატონის, შვილიშვილისა და შვილის სიკვდილით უსაზღვროდ გამწარებული, მაინც სხვებზე მზრუნველი მამიდის, ბაჟო მებონიას გარდაცვალებამ.

მათი ხსოვნა მარად დარჩება ჩემს გულში, ისინი კი ღმერთმა სასუფეველში ამყოფოს.

მანანა კაკაჩია

ნოჯიხური

რედაქტორი — ვალერი ძაძამია

„ნოჯიხურის“ მისამართი:
წალენჯიხა — ობუჯი. ლეო ქიაჩელის №37.
ტელ: 591 91-32-89; 790 87 83 94

გამოიცემა 2005 წლის ოქტომბრიდან
აწყობა და დაკაბადონება — თეა მიშველია
ტელ: 555 49-22-07